ღარ მახსოვს რა დღე იყო... ქარი ცოტათი ჰქონდა... მთებს ნისლი დასწოლდა და აქა-იქა იქინელლებოდა. სალომემ ჩვეულებრივზე უფრო ადრე გამაღვიძა... ჩემს ძველ ტანისამოსს დუგმები დააგლიჯა და რაღაზედაც მიკერება დაიწყო. დედა-ჩემმაც ოთხი მიალაგ-მოალაგა, სკივრიდან „ბარაზის“ წილები ამოილო, სალომეს საკერავი გამოართვა... ჩამაცვა ახალი ტანისამოსი, ახალი ჩექმები, ალერ სიანათ მიმატრ-მომატრიალი და მითხრა: „ეს „ბლუზა“: და ეს წილები იასონს გამოუგზავნია შენთვისაო... მშვიდობაში, სიხარულში გაცვითო. დღეს, შვილო, 8 წლისა გახდი და ახლა შენ იცი, როგორც ფიქრი და გონება სულ სწავლაზე გექნებაო. ამ ერთს კვირაში უნდა მოგამზადო და ქალაქში უნდა ჩაგიყვანო სკოლაში მისაბარებლათაო!

არ ვიცი დაიჯერებთ თუ არა, რო გითხრათ, რომ ასეთი სიხარული არასოდეს არ მიგრძვნია... რაღაც მოზდილი ადამიანის სახე მომეცა... დავდინჯდი... თამაშობის ხალისი დამეკარგა... მომავალი ცხოვრების სურათები სულ თვალ-წინ გადამეშალა... მაშინებდა კიდეც ეს სურათები და მალხინებდა კიდეც... მეშინოდა იმისთვის—რომ უდედოთ უნდა დამეწყო

\*) რამდენიმე თავი ამ მოთხრობისა უკვე დაიბეჭდა „ჯეჯილში“  
1905 წელს.

ახალი ცხოვრება და მახარებდა იმისთვის, რომ „სწავლულურ“ კაცი გამოვიღოდი... იმ დღეს დედას არ მოშორებულ ჟანერებს სულ მასთან მინდოდა ყოფნა და მისგან გაგება ყველაფრისა.

— დღეს 8 წლისა ვარ, დედა?

— ჰო, შვილო, დღეს 8 წლისა ხარ, ვაჟკაცი ხარ!

— სკოლაში უნდა წამიკუვანო, დედა?

— უნდა წაგიკუვანო, შვილო, შენს ძმებს უნდა აჯობო სწავლაში.

და სხვა—ბევრს ამისთანა კითხვებს ვაძლევდი დედა ჩემს. ცოტახნის შემდეგ ჩამოვიდე თახჩიდან დაობებული წიგნები, მამიჩემისაგან დარჩენილი და დავიწყე თვალიერება. ასე ამ ყოფაში გავატარე მთელი ოთხი დღე.

**მშეგიდობით, ჩემთ ხოთველო!..**

კვირა დღეა... მზემ სიხარულის სხივები მიფანტ-მოფანტა აქა-იქა... ბეჭედიალამ გაალამაზა ყველაფერი... აათავაშა ფრინველები... პეპელებმა ნელ-ნელა დაიწყეს ფრენა... ფუტ-კრიც დაიძრა სკიდან და ბზუილით გაექანა ვარდების საყნო-სველათ. ჩენსა არა ჩევეულებრივი მოძრაობაა, ხმაურობა... მისვლა—მოსვლა... ყველა ფუსტუსებს... ყრუ სალომემ სარეც-ხის ქვაბი შემოდგა ზედა დგარზედ... დედა ჩემი მოიჩითო-მოი-კმაზა... მეც პირი დამბანა, ჩამაცვა ახალი „ბლუზა“, მიმა-ტრიალ-მომატრიალა, დამიკოცნა ლოყები და მითხრა:—წა-ვიდეთ, შვილო, სალოცავათავა...“

მთელს სოფელს საყდარში თავი მოეყარა.... ყველა... ლოცულობდა, დაჩოქილი ეველრებოდა ხატებს და დედა ჩემიც იმათში... ჩემს გულს კი სასოება არ მიჰკარებია, რაღაცნაირათ გაბუნჩული, დადარღიანებული ვიღეგ ხატის წინ და პირჯვა-რიც კი ვერ დამაწერინა დედა ჩემმა... ჩემი ვონება სულ სხვა-გან მიაგორებდა ტალღებს, ჩემი ფიქრი შორს, ძალიან შორს ფანტავდა თავის სხივებს და მომავალი ცხოვრების სარკეში მა-ხედებდა... გულმა ვერ გაუძლო ამ ფიქრების გროვას, ერთი კი ამოვიხსრე და თვალის დახამხამებაში გალავანში ამოვავი თავი. გალავანში ბიჭები ჩილიკაობდენ, ზოგი სალაობდა...

მე მივეღი მათ ახლო... დაუწყე ცქერა... წავდგი ნაბიჯი, ურაკულებელი მეც მიმეღი თამაშობაში მონაწილეობა, მაგრამ მომავალდა, რომ დღეს 8 წლისა ვარ, დავაუკაცებული, როგორც დედისა-გან გავიგონე და ფეხები მიწიდან ვეღარ დავძირი... ვიდეგ უძრავათ... უცქეროდი ბიჭებს და ბიჭები მე შემომცქეროდნენ... მალე ახლოც მოყიდა ერთი მათგანი და დაუწყო ჩემს ახალ-ტანისამოსს თვალიერება...

— ჰე, რა რიგათ გამოკვანძილა და... ახალ ტანისამოსში!

— ბიჭი, არშინში რა მიეცი? არშინში რა მიეცი? მომა-ცვირეს სხვებმაც და დამიწყეს ჩემეტა...

— ბიჭი! ხვალ ქალაქში მიღიხარ? აბა ქალაქის ბიჭები აგრძირებენ დედას! ასეთი მუშავები იციან, რომ შენი მოწო-ნებული! მომაძახეს აქეთ-იქთ..

— მე ხვალ მივდივარ ქალაქში, წივნი უნდა ვისწავლო, სწავლული უნდა გაძმვიდე. წავილულლუდე მეც.

— ისწავლის ბიჭი, ჰე! იყოთის დიაკონის შეილი კი არ იყო სკოლაში, რომ ვერაფერი ისწავლა, სთქვა ერთმა მოზრ-დილმა ბიჭა.

— „როზგებითა“ და ჰინტრით უჭრელებენ ტანსაო, ასე აბიობენ, ბიჭი, და მართალია ესა? შემეცითხ ტყაპუჭაანთღე ქსო. თუ მართალია, ნუ წახვალ, თორევ ისე გავიხდიან საქ-მეს, რომ სულ ვი დედას გძახებინებენ.“

მესმოდა ცველა ეს ლაპარაკი და ჩემი შავი ფიქრები უფ-რო და უფრო შავდებოდა. „როზგები“... ჰინტრი... დიაკონის შეილი... ცველა ეს მოაწვა ჩემს ჩილის გონებას... ამიღელვდა სებრაზით სისხლი... ერთი კი ამოიკვნესა გულმა და ეშმაქმა წამომაძახებინა:—ბიჭებო, მე აღარ წავალ ქალაქში წავიდეთ ტყეში და იქ ვითამაშოთ.

მზე კარგა მალლა აშორებოდა დედამიწას... აქამდის გაჩუ-მებული ბუნება ახმაურებულიყო... ია, ნარგიზი, ყაყაჩო და სხვა ცვავილები იტაცებს ჩემს ცნობის მოყვარე თვალებს. მათი ბჭყვრიალა ფერი მაკვირვებს... ვსუნავ და სიხარულს ვეძლევი...



გზაში თვალს ვაყოლებ ხან ჯეჯილს, რომელსაც ჩატარდა კაშახევა ბინებს და ხან ათასნირ ყვავილებით მორთულ საობს.

ჩერნ ძალიან დავშორდით სოფელს... ავედი ერთს ფერ-ლოზედ და დავიწყეთ აქეთ-იქეთ ყურება. იქვე ახლო ჩემმა თვალ-მა შენიშნა ბატყნების გოგმანი და მარწი კვიცების კუნტრუში თვითინთ დედების გარშემო... ჩემი თვალები ერთი საგნიდან მეორეზე გადადის, მიკვირს ყველაფერი, ვყვირი ვიცინი. მაგრამ მალე გამოვერკვეი, დედისადმი ალერსმა ჩამაფიქრა, გამიძლიერა დედისადმი სიყვარული და თვალის დახამხამებაში დავეშვი ძირს და შინ მისვლისთანავე ძლიერ გრძნობით ჩავეკონე ჩემს დედას.

### ქალაქს გამგზავრება.

სამშაბათი დილა გათენდა .. მზემ კუპრუტანიდან შემო-აფინა თავისი მშვენიერი სხივები და ლოგინშივე თვალები და-მიკოცნა: მე გადავბრუნდი მეორე გვერდზედ, მინდოდა კიდევ დამეძინა, მაგრამ ვერ დავიძინე, რადგანაც დიდი ხმაურობა მომესმა. თვალები გავაშუირე და შევნიშნე, რომ ყველა ჩე-ნიანებს თავი მოეყარა და სამგზავროთ მამზადებდენ. ისე თქვენ მტერს ევესოს მიწით თვალები. როგორც მე ცრემლებით ამე-ვსო თვალები... ავდევ, საჩქაროთ ჩავიცი და პირდაპირ გა-ვარდი გარეთ. ეზოშიაც დიდი შზადება იყო. ჩენი ნათლიმიძა, შარმაზანი, ურეშს ჩარდასს უკეთებდა. პალიკო წნელებსა ვრე-ხდა... ვიცოდი რაც ამბავი უნდა მომხდარიყო ამ დილით და გული ბოლმით ამევსო. და ნაღვლიანს მომავონდა ყველა-ნი: ჩემი მეზობლის ბიქები, ჩენი კვირტა-ცენი, ჩენი ქო-ჩორა ქათმები, ჩენი მერცხლები... დავიწყე გამომშვილობება ყველასთან. ჩემი ციგა ტყაპუჭანთ პავლეს ჩავაბარე, ჩემი შო-ლტი ცინგლიან ლექსოს მივეცი, ჩემს კვირტას თვალები და-უკოცნე და ცუგას შიგ ტუჩებში ვეამბორე! შემოვირბინე მოელი არე-მარე. ყველას გამოვემშვიდობე, ყველას სალამი მი-ვეცი, უსულოსაც და სულიერსაც. მივირბინე ჩენ ცივ წყა-როსთა... განურებული სახე გავიგრილე და გიფივით ისევ შინ შევირბინე. დედა-ჩემს კიდევაც ჩაეცვა და დაეხურა. ჩემი დე-ბი იცრემლებოდენ... სალომეც ამ დილით სულ იღრინებო-

და. ჩამაცეს მეც და ყველანი ერთათ გამოვედით გარეთ. ჩემს სახეს ბინდი გადაეკრა... თვალები ამოციენას აპირებდენ. გულს ზვავივით დარდი ჩამოაწეა... ყველანი აქ იყვნენ... ყველანი მკოცნიდნენ, მემშვიდებოდნენ. მე კი ვიდექ უძრავათ, უნუგეშოთ. ურემი უკვე მზათ არის... დედა-ჩემი კიდევაც ჩამჯდარიყო... უკანასკნელათ აქ მყოფთ მიმიკრეს გულზედ, და-მიკოცნეს თვალები; შარმაზანმა მომვიდა ხელი და ჩამიშვა ურემში... უკანასკნელათ კიდევ გადავავლე თვალი ჩენს არემარეს და გულ-ამოკენესით წამოვიდახე: მშვიდობით, მშვიდობით, ჩემო კარგო სოფელო, ჩემო ბალო, ჩვენო წყარო, ტყეო და ღრეო! მშვიდობით, ჩემო ამხანაგებო, ჩემო გამზღველო და ჩემო დებო! ვთქვი ეს, ბლუზის კალთით მოვიმშრალე თვალები და ვერ მოვასწარ კიდევ სიტყვის თქმა, რომ ურემიც დაიძრა.

### პარველი ჩემი თაგ-გადასაფლო.

ჩემი მოგზაურობის ამბავს რომ მოგიყვეთ, სწორეთ თავის მოწყენა იქნება თქვენთვის და ჩემთვის კი წყლულის აშლა. დადარღიანებული და დალვრემილი, ჩვენებიანთ ინდოურივით ცხვირ-ჩამიშვებული, კუნძი ვით ვეგდე ურემში და ქალაქამდის არ გავნძრეულვარ. რაღაც ძილ-ქუში დამაწვა პირველ ხაებში, მაგრამ, რამდენიც ვუახლოვდებოდით ქალაქს, იმდრენი სხვა და სხვა შთაბეჭდილებათა გროვა მოაწვა ჩემს გონებას, სხვა და სხვა ახალმა სურა-თებმა გამომიყვანეს წინანდელ მდგომარეობიდან და ჩემმა თვალებმა, მშიერი ადამიანივით, აქა-იქ დაიწყო რბენა. დი-დი სახლები ბჟყვრიალა სახურავებით, უშველებელი ქუჩები, ხალხით სავსე—თითქო დღეობაში მოსულან სალოცავათაო და კიდევ ბევრი სხვა მრავალი რამ, რომლის აღწერასაც მე-რე თუ მოგიყვებით, თორემ ახლა ბევრი დრო და ადგილი დასკირდება მის გარდომცემას. სამხრობა იქნებოდა, როდესაც მიუახლოვდით ქალაქს. ჩენ ურემთან ერთათ სხვა მრავალი ურემიც მოქრიალებდა და წეროების გუნდისამებრ გამწკრი-ვებული დასდგომოდა რაღაც უშველებელ, გაუთავებელ გზას.



ხალხის მისელა-მოსელა, ეტლების ჩახა-რუხი ესმოლები და მიკაველი რებს. მიკირდა და მაცვიფრებდა ეს სანახაობა. ჩემს შთაბეჭედი დილებას დედას უზიარებდი და ხანდიხან ამის შესახებ პალი-კოსაც გამოველაპარაკებოდი ხოლმე. მალე დიდი ქუჩაზედ გა-ვედით და უფრო დიდი სანახაობა გადიშალა ჩემს წინ. აქ ერთი ვაი-უშველებელი აგვიტყდა. ურმები შეაყენეს და არც აქეთ უშვებდენ და არც იქით. ვიღაცა დიდია კაცმა უნდა გაია-აროს და ამ ქუჩაზედ არავის შეუძლია გავლაო. დიდი ჩინჩქოლი და ვაი ვაგლაბი დატრიალდა. გაჩნდნენ შეია-რალებული ქუჩის გველები და დაიწყეს მეურმების ცემა-ტყე-პა. ამათ კვნესას ტკივილებისაგან და საცოდავი პირუტყვის ბლავილს დასასრული არ უჩანდა! არ ვიცი რა ხდებოდა... მხოლოთ ის მახსოვეს—როდესაც ჩენი პალიკო ცხენიდან გად-მოაგდეს და უწყალოთ. დაუწყეს ცემა-ტყება, დედა-ჩემი გად-მოხტა მისაშველებულათ, პალიკო, გულ-შეცოყრილი და მოლათ დასისხლიანებული ეგდო მიწაზედ და ჩენი კვირტა, ამ ამპით გაკვირვებული, წინა ფეხებს სცემდა მიწას და საცოდავათ ფრუ-ტუნებდა. დედი-ჩემის ტირილი მომესმა და რაღაც უცნაურმა გრძნობამ მიმახდა იმისკენ. გადმოვხტი მაშინვე და გვწივ დედისკენ. ორიოდ ნაბიჯის არ გადამედგა, როდესაც წამო-მეწია ჩემკენ გამოქანებული ეტლი, დამეჯახა და ზედ გადა-მიარა. მახსომეს—გულ-შემოყრილი მიწაზედ გავიშელართე და შემდეგ რა მოხდა ამისი კა რა მოგახსენოთ.

### საგათმყოფოში.

ამ უბედურობის შემდეგ პირველათ რომ თვალი გავაჟურ-ტე და მივიხედ-მოვიხედე—ჩემი პირველი სიტყვა ეს იყო: დედა! სადა ხარ? დედა, გიკვდები!“ ამ დროს ვიღაციც კოცნა ვიგრძენი და ცრემლით დასველებული სახე! თურმე დედა-ჩემი ჩემთან ყო-ფილიყო და ჩემი თვალები კი ვერ არჩევდნენ ვერავის სისუსტი—სა გამო. არ ვიცი მიხვდებით, თუ არა, რომ გითხრათ, ჩემს სიცოცხლეში არაფერი ასეთი ძლიერი არა მიგრძენია რა, რო-გორც ამ კოცნამ და დედის დანახვაზ მაგრძნობინა. ეს კოც-ნა იყო მალამ, წამალი დაწყლულებული გულისა, უკვდავე-



ბის წყარო გადახტნილი ადამიანისა. ამ კოცნაშ მოსუფერენცეფა  
ტა სევდის ლილი, გულმა მშვიდობიანათ ცემა დაწყო, ტერიტორია  
გადაკრულმა თვალებმა აქეთ-იქით ცქერა იწყო და დაღუმე-  
ბული ენა ალაპარაკდა.

— დედა! პური მშიან! დედა! სადა ვართ! სხაპა-სხუპით  
ვყითხებოდი დედას, თითქო მეშინოდა, ვაი თუ ეს უკანასკა-  
ნელი ლაპარაკი იყვეს და ძალას ვატანდი ჩემს თავს რომ ბე-  
ვრი შელაპარაკნა.

დედასაც იმედი მიეცა, სახე გაუბრწყინდა... სიხარული და  
დილიხნის შეგუბებული ბოლმა ერთმანეთს შეჯახა და დარე-  
ტიანებული, თავტრუდასხმული დედა-ჩემი დაეცა ძირს. ამ სა-  
ნახაობით შემკრთალმა ერთი კი დავიწივლე და დავკარგე გრძნო-  
ბა. ასე ამ ყოფაში ბევრხან დავრჩი. სიკედილ-სიცოცხლე ერ-  
თმანეთს ეჯიბრებოდა. კრიპა სულ შეკრული მქონდა, წამ-  
ლებს ძალათი მასხამდნენ პირში. ჩემი გამობრუნების იმედი  
ალარავის ჰქონდა. ექიმებიც უარს ამბობდნენ ჩემს მორჩენა-  
ზედ და დედი-ჩემის ცოდვით უველანი იწოდნენ და იდაგებო-  
ლნენ. ასე, ამ ყოფაში რამდენიმე კვირა ვიყავი, მაგრამ ჩემმა  
მავარმა ბუნებამ თავისი გაიტანა: ერთ დღეს თვალები გავაჭ-  
უტე, მივიხედ-მოვიხედე და დავაზველე კიდეც. დედაჩემს ჩემს  
საწოლზედ თავი დაედო და ჩასძინებოდა. საწყალო დედა-ჩე-  
მო! ახლაც კი არ მოგასვენე და ჩემს დახველებაზედ ფეთია-  
ნივით წმოგაგდე!

— დედა! წყალი მინდა! დასუსტებული ხმით უთხარი.  
დედაჩემი მაშინვე წამოხტა წყლის მოსატანათ, მაგრამ მო-  
აგონდა, რომ წყლის დალევინება არ შეიძლებოდა და მის მა-  
გივრათ რძე დამალევინა. რძემ გული მიპოვნა, სულ მთლათ  
გამოვერკვიე. ამ დროს ექიმსაც დაუძახეს. მან მაჯა გამიშინჯა,  
სიცე გამიზომა და სიხარულით დედაჩემს წასჩურჩულა: „ეხ-  
ლა ნურაფრის გეშინიან, შენი შვილი კარგათ არის და გული  
არხენათ გქონდესო.“ დედა-ჩემი ბავშვივით წამოხტა, ხელე-  
ბი გაშალა და, თითქო თამაშობსო, ისე ჩამოუარა იმ უშვე-  
ლებელ ოთახს. მეც ტიკტიკათ გადავიქეცი. მოვიკითხ პალი-

კო, მოვიყითხე ჩვენი კვირა, მოვიყითხე იმ დაწყველობის შედეგი და ცველაფერზედ დამშვიდებული პასუხურულებული გული დამიარხებინდა, სისუსტემ იკლო და დედიხემის დაწყვნარ ხელებს თამაშობა დაუწყე. მალე ჩემი ძმებიც მოვიღნენ, ესენი მე ვეღარც კი ვიცანი—სულ სხვანაირათ იყვნენ ჩატმულნი, სხვანაირად გამოიყურებოდა მათი დაღვრემილი სახე. ეტყობოდათ ჩემი ავათმყოფობა ამათაც არ ასვენებდა და სევდის ბეჭედი დაემჩნია. ორი კვირა დაგრჩი საავათმყოფოში და ორი კვირის შემდეგ გამოვეწერე.

ალ. ნითაძე.

(შემდგა იქნება)



## თავისერძა ღევრ.

(საქართველოს ზღაპარი).



ოველ დდე, სწავლის გათავების შემდეგ, მოსწავლე ყმაწვილები შედიოდენ ხოლმე სათამაშოთ დევის ბალში.

ეს იყო მშენიერი დიდი წალკოტი მოფენილი რბილი მწვანე მოლითა. შიგა და შიგ ბალაბში ვარსკვლავებივით გამოიყურებოდენ ყვავილები. თორმეტი ატმის ხე გაზაფხულობით იმოსებოდა ნაზი პირისთერი ყვავილებით, და შემოდგომაზე ტოტები მისი ძლიერ იმაგრებდენ ნაყოფს. ფრინვლები ისე მშენივრათ ქიქიცებდენ, რომ ყმაწვილები ხშირად სტოვებდენ თევიანთ თამაშობას და მირბოდენ მათკენ სიმღერის გასვენათ.

— რა ბეჭნიერი ვართ, ეუბნებოდენ ყმაწვილები ერთი მეორეს.

ბოლოს დაბრუნდა დევი თავის სახლში. შვიდი წელიწადი სტუმრათ ყოფილიყო კაცი-ქამია დევთან. შევიდა თუ არა თავის ციხე-დარბაზში — დაინახა, რომ მის ბალში ყმაწვილები თამაშობდენ.

— რას აკეთებთ თქვენ მანდა? დაუყვირა მან ვაჯავრებით.

ყმაწვილები შიშით აქეთ — იქით გაითანტენ.

— ეს ბალი მეკუთვნის მხოლოთ მე, თქვა დევბა, — ჩემს მეტს აქ არავის შეუძლიან შემოსვლა.



ბალს შემოაფლო მაღალი გალავანი და კარებზე იჭრებული იყო  
„დერბალულია ბალში შესაფლა“.

დევი საშინელი თავიკერდა იყო. თავის მეტი ქვეყანაზე  
არავინ გააჩნდა

მას აქეთ საწყალი ყმაწვილები მოკლებულნი იყვენ ბალ-  
ში თამაშობას. ამათ უნდოდათ ქუჩაში ეთამაშნათ, მაგრამ  
იქ ისეთი მტვერი იღვა და წვრილი ქვები ერტობოდათ ფეხ-  
შიშველებს, რომ თამაშობის ხალისი დაეკარგათ, ხშირათ სა-  
სწავლებლიდან რომ გამოდიოდენ ბალის მაღალ გალავანს  
შესცემოდენ და ამბობდენ:

— რა ბედნიერნი ვიყავით ჩვენ ამ ბალში!

დადგა ყველგან გაზაფხული. გარშემო აყვავდა ყვავილე-  
ბი, მოჰყვენ ფრინვლები ჰიკეიქს. თავიკერდა დევის ბალში  
კი სრული ზამთარი სუფევდა. ფრინვლები ყმაწვილებს რომ  
ვერა ხედავდენ, აღარ ჰიკეიკებდენ. ხეებიც აღარ აყვავდენ.  
უკაბედათ ერთმა ყვავილმა ამოჰყო ბალახებიდან თავი და რა  
ნახა რომ ყმაწვილების ჰიკანება არ იყო ბალში ისევ ჩაძრა  
მიწაში და დაიძინა. დევის გაცემული ბრძანებით კმაყოფილი  
დარჩა მხოლოდ თოვლი და ყინვა.

— გაზაფხულს მიავიწყდა ეს ბალი, — ამბობდენ ესენი, —  
და ჩვენ აქ მთელი წელიწადი ვიმეფებო.

თოვლმა სუდარა გადააფარა ბალის და ხეებზე ყინვისაგან  
ჩამოეკიდა ვერცხლოვანი ჰირხლი, მათ მიმატიერეს მეაცრი ზენა  
ქარი, რომელმაც დაიწყო ბალში თარეშობა. მთელი დღეები  
გაუდიოდა ზუზუნი და სახლების საკვამლებებს არ აყენებდა.

— რა კარგი ყოფილა აქ თარეშობა, ამბობდა ქარი, —  
მოდი სეტყვაც მოვიწვიოთ.

სეტყვამაც ბევრი არ ათხოვნინა. ყოველ დღე მთელი სა-  
მი საათის განმავლობაში რახა-რუხი გაპერანდა, სანამ სახუ-  
რავი სულ არ ჩამტვრია და ბალი სულ არ ამოაგდო.

— საკვირველია ასე რაზე იგვიანებს გაზაფხული! ამბობ-  
და თავიკერდა დევი, რომელიც იჯდა ფანჯარასთან და შეს-  
ცემოდა ბალს. — ახლა კი მგონია ამინდი გამოიცვლება!

მაგრამ გაზაფხული არა დგებოდა და არც ზაფხულის პი-

რი მოჩანდა. შემოდგომამ დატვირთა სხვა ბალები ოქტომბერის ბეჭილებით, ხოლო დევის ბალში არაფერი იყო.

— მაგ დევს თავის თავის მეტი არა გააჩნია რა, რათ უნდა ხეხილი, თქვა შემოდგომამ.

დევის ბალში ზამთარმა სამუდამოთ მოიკიდა ფეხი. მის ხების გარშემო თარეშობდა ჩრდილოეთის ქარი, სეტყვა და თოვლი.

ერთხელ დილით, დევი ჯერ კიდევ ქვეშაგებში იწვა, შემოესმა ნაზი შშეცნიერი ხმა. ისეთი ნარჩარი და ტკბილი ხმა იყო, რომ ევონა მეფის მემუსიკებმა გაიარეს ჩემ ახლო-საო. თურმე მის ფანჯრის ძირს გალობდა პატარა ჩიტრ ჰეინრი. დევს ისე დილხანს არ გაეგონა ფრინველების გალო-ბა თავის ბალში, რომ ამ პატარა ჩიტრის გალობა მიღლო საუ-კეთესო გალობათ მთელ ქვეყანის გარებაზე. სეტყვას მის თავზე აღარ გაუდიოდა რახა-რუხი, მკაცრი ქარის ზუზუნი არსა-დან აღარ მოისმოდა, და გალებულ ფანჯარაში შემოდიოდა ყვავილების საოცარი სურნელება.

— მეონია ახლა, კი დაგვიდგება გაზაფხული, იფიქრა დევმა, წამოდგა ქვეშაგებიდან და გაიხედა ფანჯარაში. იცით რა წარმოუდგა მას თვალშინ? ყმაწვილები შემძერალიყვენ პატარათ გამონგრეულ კედელში. ყოველ ხეზე იჯდა პატარა ბავშვი. ხეები ისე ბედნიერნი იყვენ. რომ გაეშალათ სურნე-ლოვანი ყვავილები და ფოთლებს ნაზათ გაძქონდათ ყმაწვი-ლების თავზე შრიალი. ფრინვლები დაფრინავდენ სტვენით, სიამოვნებით, ყვავილებს ბალახებიდან ამოეყოთ თავი და იღ-მებოდენ. საოცარი შვენიერი სანახავი იყო ეს სურათი. ხო-ლო შორს ბალის კუთხეში ისევ ზამთარი მეფობდა. იქ იდგა ერთი ბავშვი და ისეთი პატარა იყო, რომ ხის ტოტს ვერ მისწვდომოდა. საბრალო ხეს გარშემო უვლიდა და ცხარე ცრემლით ტიროდა. ხე თოვლით და ყინულით გაბარტული იყო. ქარს მის გარშემო ზუზუნი გაძქონდა.

— ამოდი, უთხრა ხემ და რაც შეეძლო დაუშვა ტოტები, მაგრამ ყმაწვილი სულ პატარა იყო და ვერ მისწვდა.

ამის ნახვით დევის გული მოლბა.



— რა გულქვა ვყოფილვარ, თქვა მან. — ახლა უჭირაც დაუკა  
რატომ არა დგებოდა გაზაფხული ჩემ ბაღში. მე ამ ჭირების მქონე  
სვამ მაღლა ხეზე; ჩამოვასხნევინებ მაღალ გალავანს; დევ ყმა-  
წვილებმა ისევ იარონ თავისუფლათ ამ წალკოტში.

და დევი სწუხდა რომ ამისთანა თავიკერძა და გულცივი  
ყოფილა.

დევი ჩამოვიდა კიბეზე, და შევიდა ბაღში. ყაზწვილებმა  
დაინახეს თუ არა აქეთ იქით გაიფანტენ. ხოლო პატარა ბავ-  
შვი დარჩა თავის ადგილას, რადგან ცრუებლებით სავსე თვალე-  
ბით ვერ დაინახა დევი. დევი მიეპარა ჩუმათ და შესვა ხეზე.  
ერთ წამს ხე შეიმოსა ყვავილებით, გაჩნდეს ფრინვლები და მოჰ-  
ყვენ გალობას. ბავშვი კი მოეხვია კისერზე დევს და აკაცა.  
ყმაწვილებმა დაინახეს რომ დევი სულაც გაჯავრებული არ იყო,  
შემოვიდენ ისევ ბაღში და გაზაფხულიც ისევ გამეფდა იქ.

— ეს ბაღი ახლა თქვენია, ყმაწვილებო! უთხრა დევმა.  
აიღო წერაქვი და ჩამოანგრია გალავანი.

გამვლელ-გამომვლელნი ხედავდენ, როგორ ეთამაშებოდა  
დევი მთელი დღე ბავშვებს თავის შშვენიერ წალკოტში. ბო-  
ლოს, საღამოს, როცა ბავშვები გამოსასალმებლათ გარს შე-  
მოეხვიენ, დევმა ჰკითხვა:

სად არის პატარა ბავშვი მე რომ ხეზე შევსვი?

დევს ის კოცნისათვის ძალიან შეკვარებოდა.

— არ ვიცით სად არის! საღლაც წავიდა! უთხრეს ბავ-  
შვებმა.

— უთხარით რომ ხვალ უსათუოდ მოვიდეს, თქვა დივ-  
მა. მაგრამ ყმაწვილებმა უპასუხეს ვერ ვიცნობთ, არც ვიცით  
სადა დგას, დღემდის არც გვენახაო

დევი საშინლათ შეწუხდა.

უოველ დღე, გათავდებოდა სწავლა თუ არა, ყმაწვილები  
მოდიოდენ ბაღში სათამაშოთ. ხოლო ის პატარა ბავშვი არსა-  
და სჩანდა. დევს უველა ბავშვები უყვარდა, მაგრამ ნაღვლობ-  
და რომ იმ პატარას ველარა ხედავდა და ხშირათ იმეორებდა:

— ნეტავი ვნახოო.

ვადიოდა წლები, დევა ბერდებოდა, სუსტდებოდა. ვე-  
ლარ დადიოდა. ფანჯრის წინ სავარძელში იჯდა და შესკერდებოდა  
როდა, როგორ თამაშობდენ ყმაწვილები მის მშვენიერ წალ-  
კორში.

— მე ბევრი ლამაზი ყვავილები მაქვს, ამბობდა დევი, —  
მაგრამ ყმაწვილები უფრო ლამაზები არიან.

ერთხელ დილით ზამთარში დევმა გაიხედა ფანჯარაში.  
მას ახლა უყვარდა ზამთარი, რადგან იცოდა რომ მას მოპ-  
ყვებოდა გაზაფხული, მშვენიერი ყვავილებით შემკული. უცბათ  
თვალები დააჭყირა და გაკვირებით გაიხედა: მართლა რომ  
საოცარი სანახავი წარმოუდგა. შორს ბალის კუნკულში მო-  
სჩანდა ხე შემოსილი მშვენიერი თეთრი ყვავილებით; ხეს ტო-  
ტები ნამდვილი ოქროსი ჰქონდა, ზედ ესხა ვერცხლის ნაყო-  
ფი. იმ ხეზე მოსჩანდა სწორეთ ის სანატრელი ყმაწვილი, რო-  
მელიც ისე ძრიელ უყვარდა. დევმა სწრაფად შეირბინა ბალში,  
გაექანა იქით მხარეს სიღდანაც ყმაწვილი მოსჩანდა და უცბათ  
გაჯავრებულმა დაიყვირა:

— ვინ გაძედა და მიგაკრა შენ ხეზე? მითხარ აქლავე,  
უნდა მოვკლა!

ყმაწვილს ხელებზე და ფეხებზე ლურსმნებისაგან იარები  
ჰქონდა.

— არაფერია, უპასუხა ბავშვმა, — ეს იარები სიყვარული-  
საგან არის.

— ვინა ხარ შენ, მითხარ? ჰქითხა დევმა. უცბათ სასოფ-  
ბამ შეიბყრო დევი, ის ბავშვს მუხლებში ჩაუვარდა.

ყმაწვილმა გაულიმა და უთხრა: ოდესლაც შენ ნება მო-  
მეცი შენ ბალში შეთამაშნა, დღეს მე გიწვევ ჩემ ბალში, სა-  
მოთხეში.

როდესაც ყმაწვილები სწავლის შემდეგ მოვიდენ ბალში  
სათამაშოთ, ნახეს ხის ძირს თეთრი ყვავილებით შემკული  
მკვდარი დევი.

ან. წერეთლისა.

(თარგმანი)



### გიორგი ივანეს ძე ნატაძე.



ააცქერდით ამ სახეს! ეს იყო ნიჭიერი მუსიკოსი. ამისთანა უანგარო. ჩუმი, პატიოსანი, უწყინარი და თავდაბალი მუშაკი ძნელათ მოიპოვება ჩვენში. ღარიბი ოჯახის შვილმა დიდი გაჭირებით და ხა-სიათის სიმტკიცით გაიგნო გზა და მოახერხა მოსკოვის კონ-სერვატორიაში სწავლის დამთავრება ამ რვა წლის წინეთ. რა იმედებით და სიყვარულით იყო გაშსჭვალული ეს ყმაწვილი სამ-შობლოსადმი. გიორგი ივანისძე დაუსვენებლივ მუშაობდა: ყო-ველ დღე ერთი სკოლიდან მეორეში გადადიოდა; ის იყო გალობის მასწავლებლათ, უმეტესათ უსასყიდლოთ სწევდა ჯა-ფას და ცდილობდა ყველასთვის შეეყვარებინა ხალხური გალო-ბა და მუსიკა. ყმაწვილმა კაცმა დასწერა სამუსიკო თხზულე-ბა და ემზადებოდა ოპერის შესათხზებთ; ის იყო აპირებდა გამ-გზავრებას სამზღვარ გარეთ მუსი კალური მიზნით, მაგრამ უცბათ, 1 ივლისს, რამდენიმე საათის გამავლობაში გაუკითხავმა ხო-ლერამ იმსხვერპლა ჯერ სულ ახალგაზრდა კაცი.

ბედნიერია ის ჭვეყანა, რომელსაც შეჩრჩხა ამისთანა ნი-ჭიერი და გულშემატკიფარი მუშაკი.

# ცხელი ქვეუნის გეელები.




ცხელი ქვეუნის ცხოველებს შორის პევ-  
 რია ისეთი მაწოვარი ოთხფეხიცა და ქვე-  
 წარმავალიც, რომელთაც მხოლოდ ენება  
 მოძვეთ ადამიანისათვის. მაგალითად, ვინ  
 იყის, რაზდენი ჯაცი იღუპება იქ ვეფხე-  
 ბისაგან და გველებისაგან! იმდენი გველი,  
 იმისთვის დიდები და გესლიანები, რო-  
 გორც იქ იყის, არსად გაგონილა: ტყეე-  
 ბი, ველები, ქვა-კლდიანი ადგილები და  
 წყლები მდიდარი არიან ამ ვეებერთელა  
 ქვეწარმავალებით, რომელნიც მოგვაგონე-  
 ბენ ზღაპრულ გველებაპებს.

ზოგი გველი სიგრძით რამდენიმე ადლია და სისქეც ექ-  
 ნდა ნახევარი იდლი. დღისით გველები უფრო ხშირად შე-  
 სვერებულნი არიან; მერმე, დაღამდება თუ არა, გამოვლენ სა-  
 ნადიროდ. სულ ტყუილია ხალ ხში გავრცელებული თქმულო-  
 ბა, ვითომდა, ბოძალა ენა რომ აქვს გველს, იმას შესობდეს  
 თავის მსხვერპლს სხეულში და მით შხამავდეს ბოძალა ენა  
 აქ არაფერ შუაშია. ბოძალა ენა აქვს მას იარაღად, რომ მით  
 შეეხსოს და გაშინჯოს თავისი საშოვარი, კენით კი კბილები-  
 თა კბენს. კბილები ბლომად აქვს გველს ქვევითა ყბაზე და  
 ზევითაზედაც, მაგრამ საჭმელს თავის დღეში არ ღვევის, ისე  
 ყლაპავს მთელად, რამ სიდიდეც უნდა იყოს. გესლიან გველს  
 ზევითა ყბაზე ორი კბილი აქვს ისეთი, რომელნიც სხვა კბი-  
 ლებისაგან განსხვავდებიან: შიგნით ცარიელია ორივე და  
 ლრძილებში, სადაც კბილებია ჩასხმული, განსაკუთრებული  
 პატარა ბუდეებია მოწყობილი, გესლით სავსე. როდესაც გვე-  
 ლი უკბენს ვისმე და კბილს დაკვერს, მაშინ იმ ბუდეებიდან  
 გესლი კბილის ნახვრეტებში ჩადინდება და შემდგომ ნახვრე-



ტებიდან პირდაპირ ნაკბენში. ის ეს გესლია. რომ შესწეულში შემოტკიცებული ჰქონდა გველისაგან დაკბენილ ცხოველებსაცა და ადამიანსაც.



ერთნაირი გველი იცის  
ცხელ ქვეყნებში, რო-  
მელსაც ბოას ეძახიან,  
ქართულად შეიძლება  
ვუწოდოთ მარჩობელა,  
ოატომ — ამის მიზეზს ო-  
თონ დაინახვთ. აგი-  
წერთ ამ გველს და მას  
ცხოვრებას მოკლედ; მა-  
შინ შეგიძლიათ წარმო-  
რდინოთ სხვა გველების  
ცხოვრებაც. მარჩობელა  
გველი ვესლიანი რო-  
დია, მაგრამ სხვაფრივ სა-  
შიშოა როგორც პირუ-  
ტყვებისთვის, ისე აღა-  
მიანისთვისაც. სიგრძით

რამდენიმე ადლია და ძალიან მსხვილი, ზოგჯერ ადამიანის თე-  
ძოს სისხლ. იგი არჩევს ხოლმეს. თავის ადგილ სამყოფელად ერთ  
დიდ ტოტებ გაშლილ ხეს, სადაც გარშემო ადგილი მაღალი,  
სქელი ბალახითა და მწვანე ბუჩქებით არის შემოსილი; თუ საკი-  
როებამ მოიტანა, შეუძლია მას ამ ბალახებში დაიმალოს. დღისით  
მარჩობელა ზანტია, იშვიათად იცვლის ადგილს და უმეტეს ნა-  
წილად შესვენებულია, ან სძინავს. ამასობაში ან ბალახებშია  
მოგრავნილი, ან და ხეზეა, მაგრამ რა სახით? შემოხვევია ხის  
მსხვილ შტოს, თავდალმა დაკიდებულია, ბოძალა ენა გადმო-  
უგდია, ქანაობს აქეთ-იქით და თვალს ადევნებს, ხომ არაფე-  
რი სულიერია სადმე რომ ხელთ იგდოს. უცრად თვალი მოჰ-  
კრა მოშორებით ბუჩქებში ქურცის (გარეული თხა), თავი  
ძლივს მოჩანს ქურციკისა, მაგრამ მარჩობელის აბა რა გამო-  
ეპარება! თვალის დახამხამებაში ჩამოეშვა ხიდან ძირს და სრიალ-

სრიალით გაექანა თავის მსხვერპლისაკენ. საბრალო ქურციფირთავა  
არც კი იცის, რა უბედურობა მოელის. როდესაც მიუახლოვ-  
და, შესდგა ერთს წუთას, მერმე გადისროლა სისწრაფით თა-  
ვი ქურციკისაკენ. როგორც ქამანდი (სასროლი თოვი—ცხნის  
დასაცერი) და შემოეხვია ტანზე; შემოეხვია და მოუჭირა,  
მოუჭირა ისე, სულ ლაწა-ლუწი დააწყებია ქურციკის ძვლებს.  
ჩამდენსამე წამში სულ დაუმტვრია, დაულეწა ძვლები და მო-  
არჩო ქურციკი. მერე როდესაც დახედა და ნახა, რომ მისი  
მსხვერპლი უკვე მცდარია, მოემზადა მის შესაჭმელათ. ჯერ  
თითქო დაპიქრდათ, საიდან მოვყიდო პირი, რომ გადაყლაპ-  
ვა არ გამიტირდეს. მერმე ძალზე დააფჩინა პირი და მოჰკი.  
და თავზე; იწყო ნელ ნელა პირში ჩადება მისი. ამ დროს პი-  
რი თანდათან უფრო და უფრო იღება, უფრო და უფრო გა-  
ნიერდება; ზევითა და ქვევითა ყბები ერთმანერთს შორდება,  
კისრის ტყავი გველს თანდათან ექიმება, ისე—რომ იფიქრებ,  
ეს არის გაიფხრიწებაო, მაგრამ არა, —გაიფხრიწება კი არა,  
კადევ უფრო და უფრო იქიმება რეზინასაცით. პხედავ ამ ღორ-  
მუცელას, სულ ჩაიდვა პირში ქურციკის ტანი, უკანა ფეხე-  
ბი-ლა მოჩანს, მეტი არაფერი! აპა, ცოტათ კიდევ გააფჩინს  
პირს და სულ გადაყლაბავს ფეხებიანათ—მართლაც, ერთი შე-  
ანძრია ღონისერად კისერი, პატარაზე კიდევ გაალო ხახა და  
გადუძახა მუცელში იმ სისხო თოხფეხი ცხოველი. გადაყლა-  
პული ქურციკი მიღის თანდათან კუჭისაკენ. გარედან რომ  
უყურებ, ცხადათა სჩანს, რა ადგილას უნდა იყოს ქურციკი  
გველის მუცელში; იმ ადგილას საოცრად გაბერილია გველის  
ტანი. როდესაც სულ გადაყლაბა თავისი მსხვერპლი, ერთი  
კარგად გაიზმორა, სიამოვნებით დაწყლაპუნა პირი და მიმოი-  
ხედა, თითქო ეძებს, იქნება კიდე რამე ვიშოვო გადასაყლა-  
პავით. თუ დიდი ხნის დამშეულია მარჩობელა, ქურციკაც  
არ იქმარებს, შეუძლია კიდევ ორი-სამი კურდლელი ჩაყლაპოს  
და რომელიმე დიდი ფრინველიც ზედ დაყოლოს. როდესაც  
ამგვარად დანაყრდება, მერმე შეუძლია რამდენსამე დღეს და,  
თუ გავირდა, რამდენსამე კვირასაც უჭმელად დარჩეს.

ჩვეულებრივი საზრდო მარჩობელასი არის სხვა და სხვა



მაწოვარი ცხოველები, მაგალითად: თხა, ცხვარი, კურკუკა და კურკუკა ვირთაგვები და სხვა და სხვა ფრინველები. ხარის და ცხრის გადაყლაპვა არ შეუძლია სიღიღის გამო, მაგრამ ღონიერი კია იმდენად, რომ თუ შემოვეხია ტანჩე ხარს, უეჭველად მიაჩინდს; დიდ ადამიანს არ ერჩის, ჰაგრამ პარარა ბავში თუ ჩაუვარდა ხელზე, შესკამს. მარჩობელამ სოფლის მახლობლადაც იცის ღაბინავება და ხანდახან ღამით ეწვევა ხოლმე მცხოვრებთ. შეიპარება ეზოებში და ფარებებში და ჩაყლაპვეს იქ თხას, ცხვარს ან რამდენსამე შინაურს ფრინველს და გათენებამდის ისევ თავის პინაზე დაბრუნდება. იშვიათ შემთხვევაში გამოდის დღისით სანადიროდ.

ბოა, ანუ მარჩობელა, იცის სამხრეთ ამერიკის ცხელ ქვეყნებში სცხოვრობს იქ მშრალ აღვილებში და თავს ინახავს ხვრელებში, კლდის ნაპრალებში და ხეების ძირებ ქვეშ. ხშირად რამდენიმე მარჩობელა ერთად სცხოვრობს ხოლმე—ოთხი, ხუთი ან შეტიც. სახოვალოდ წყალში ცხოვრება არ უყვარს მარჩობელას, რომელიც ჩვენ გავიცანით, მაგრამ არის სხვაგვარი მარჩობელაც, სახელდობ ანაკონდა, რომელიც მხოლოდ წყალში ცხოვრობს.

მარჩობელებს იკერენ და მოჰყავთ ევროპაში, როვორც უცხო რამ, ხალხის საჩვენებლად. ხვრელის შესავალთან დაუგებებ ხოლმე თავის გასაყოფ მახსე. როდესაც გაებმის, მახე საოცრად მოუჭერს ყელზე. რამდენიც უნდა იკლაკნოს, რაც უნდა ჰქინას, თავს ვეღარ დაახწევს; ამასობაში ადამიანიც მოუსწრებს და დაიმორჩილებს. დაკერილს მარჩობელას ჩამენ ყუთში, ზეფერან სახურავს დააკედენ მაგრად ლურსხნებით და გაგზავნიან სადაც უნდათ. ერთი ქვეყნიდან შორს გაგზავნა მისი მერჩე ქვეყანაში ძალიან აღვილია, რადგან დიდ ხანს შეუძლია იმარხულოს. როდესაც მოიყვანენ დანიშნულს აღვილს, მარჩობელა დიდი ხნის უჭმელი გაჯავრებულია და იკბინება, არც საჭმელსა სჭამს ერთხანს, მაგრამ მაღლე მოიბრუნებს გულს, საჭმლის ჭამას იწყებს და აღირ ერჩის თავის მომვლელს.

ოუ გინდათ, რომ მარჩიბელა კარგად გრძნობდეს ფაქტურული ტკიცებაში, იგი უნდა იყოლით სრულს გალიაში თბილი ცეკვისა და იქ მოწყობილობა უნდა ჰქონდეს ხის შროების შეგვასად, რომ ზედ ახოხდეს ხოლმე და გაღმოეკიდოს, როგორც მას სჩვევია. ამას გარდა ძირს მიწაში ჩაფლული უნდა ჰქონდეს კურქელი წყლისათვის, რომ იბანაოს, როდესაც მოსრულებს ყუთი ყოფნა და საბანში გახვევა, როგორც იკან ხოლმე ფილოპარებში (სამხეცებებში) უხერხულია მისთვის. ერთხელ სიოცარი საქმე ჩაიდინა ერთმა მარჩიბელამ ბერლინის ფილოპარებში. თბილად ვიყოლითოთ და შილის საბანში გაეხვიათ. როდესაც მოშივებოდა მარჩიბელას, საბანი გადაეყდა და შიშველი დარჩენილიყო. ხუთი კვირისა და ერთის დღის განმავლობაში შალის საბანი კუჭში ჰქონდა. რასაკვირველია, ვეო ტოინელა ამისთანა საკმელი, ხშირ-ხშირად წყალსა სვამდა და ელყობოდა ავად იყო. ბოლოს მოინდომა პირიდან წამოეგდო საბანი. იწყო საბანმა მოგზაურობა კუჭიდან პირისაენ და რომ მოადგა პირზე და თავი იჩინა, მივარ. და უცეპ მომვლელი, სტაცა საბანს ელი, ამოსწია ღონივრიდ და აციაცელა პირიდან.



ფრინველი ულაპია გველი.

დაბადებული გველის წიწილი ერთი ადლი და ნახვარია. დე-

ზოგიერთი გველი კვერცხებით მრავლდება, ზოგი კი ცოცხლად პბადებს თავის წიწილებს, როგორც, მარჩიბელა. მართალია, თავდაპირუელად ამასაც კვერცხებში ჩაესახებიან წიწილები, მაგრამ იგინი დედის მუცელწივე გამოიჩიქებიან და პირდაპირ ცოცხლები დაიბადებიან. სიგრძით ახლად



და არაეთომ ყურადღებას აღარ აქცევს თავის შვილებში; ედლისა  
დან დაბადებისა იგინი თავისთავად სკხოვრობენ და ასტრონომებ  
პლატფორმაზე თავის საზრდოს.

მარჩობელია ძნელი მოსაკლავია. კეტი რომ დასცე თავში, ვერას დააკლებ; თავში კეტის დარტყმევა მხოლოდ გააბრუებს და ამ დროს შეიძლება მისი დამორჩილება ან სხვით რითიც მოკლა. თოფით კი აღვალია მასთან ბრძოლა: ერთი სროლა საფანტი სულს გააფოხობინებს.

ველური აღმიანები სჭახენ ხოლმე მარჩიობელას ხორცი  
და ქონს წამლად ჰემარობენ განსაკურნებლად სხვა და სხვა  
სნეულებისაგან, ჟყავს ჰემარობენ უნაგრების გადასაკრავად,  
ჰყერავენ მისგან ფეხსაცმელებს და როგორც თოლისმას ტანზე-  
დაც იმენ. იმათა სჯერათ ხალხის თქმულება, რომ ველის  
ტყავი განკურნებს აღმიანს, რაც უნდა მიმე სნეულებით  
იყოს შეპყრობილი.

ალექსი ჭიჭინაძე.

შემდგროვი იტენება



**Q** ავკარგეთ ჩვენი ნიჭიერი მსახიობი ქალი ნატალია გაბუნია - ცაგარლისა, რომელიც შეადგინდა ერთ საჩინო ბოძს ჩვენი ქართული თეატრისას. ნათქვამია, თეატრი არის ცხოვრების სარკე, რომელშიც ჩანს ჩვენი ავ-კარგი ნათლათ, ცსოვლით; ხალხი ხოლო მაშინ შეიყვარებს თეატრს, როდესაც დაინახავს ნიჭიერს და ხელოვნურათ წარმოდგენილს ჩვენი ცხოვრების ნაკლულევანებს, ან ლირსებას. ხოლო ღვთიურ ნიჭს შეუძლიან სავსებით გაიტაცოს მაყურებელი, ხალხმა უნდა იგრძნოს, რომ თვითონ არის მოქმედი ავ-კარგისა და ის ამ ნიჭის პატრონი იყო განსეყნებული ნატალია გაბუნია.



ჩვენ ნოემბერში ვიდლესასწაულეთ მისი ოცდა ათი წლის თეატრის ასპარეზე მოღვაწეობა და ახლა მიწას ვაბარებთ მას.


18 აგვისტოს ხანმუკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიკვალა ნატალია და ჩვენმა თეატრმა დაჟყარგა საუკეთესო მსახიობი. ის ისე გაუყრილი იყო ქართულ თეატრთან, რომ ვერც კი წარმოგვიდგენია უმისობა.

მნელი იყო ამ ოცდა ათი წლის წინეთ ხელოვნების ასპარეზე გამოსვლა—მეტადრე ქალისთვის. მის მამასაც, შერაბ გაბუნიას, უცხოვა შეიღის დათმობა თეატრისთვის, მაგრამ ნიჭმა თავისი გაიტანა და 1879 წლიდან ახლაც დაარსებულ ქართულ თეატრის დაში დაიწყო მან თამაშობა. საზოგადოებამ დააფასა მისი ნიჭი და აღტაცებით ესწრებოდა თეატრში მისს თამაშობრის, მისი ბენეფიციებისწორეთ დღესასწაულებს წარმოადგენდ.. არა თუ ჩვენ ცხოვრებიდან ამოღებულ ტიპებს გვიხატავთა ნაკით,—სხვა, უცხო ხალხის ტიპებსაც ხელოვნურათ არდგენდა, როგორც მაგალითად მაღამ ფროშარის როლს (ორი ობოლი) და ოსტროვსკის პიესაში. , შემოსავლიანი ადგილი.

ვუსურვოთ ჩვენ საზოგადოებას, რომ ნატალია გაბუნიას ნიჭს გამოეწვიოს მისი მიმბადვილებიც.

# სებასტიან გომეცი.

(თარგმანი)



ცხელი ზაფხული იდგა სევილიაში 1658 წელს, კარგა ხანი იყო ციდან ნამი არ ჩა-  
მოვარდნილიყო. გვალვისაგან დაპატარე-  
ბული მდინარე გვადალკვივირი სევდით  
მოცული მიაქანებდა ამღვრეულ წყალს.  
დაფნა და კოკისის ხეები ძალზე გაცვით-  
ლებულიყვნ. ძვირფასი ბალები ძველე-  
ბური ალკაზარის სასახლისა, რომელნიც  
გაშენებულნი იყვნენ წინანდელ მფლობე-  
ლებისაგან — მავრებისაგან — ახლა სიკრი-  
ლეს და სიამოვნების მოკლებულნი იყვნ.  
მანც ამ დაჩრდილულ აივნებში, საცა

შადრევნებს შუილი გაჭქონდათ, უფრო გრილოდა, ვიდრე ჭა-  
ლაქში შენობებთა შორის და ვისაც მოუხვდებოდა გავლა ამ  
სტუმართა მოყვარე სასახლის მუდამ ღია ალიაფის კარ წინ  
(ჭიშკართან) შეუძლებელი იყო შიგ არ შესულიყო და არ  
დაესცენა ამ ვარდებთა და ზამბახებთა შორის, მარმარილოს  
აუზებთან და გადმომჩქეეფ შადრევნებთან.

მაგრამ ამ დღეს ისეთი სიცხე იდგა, რომ არავინ არ შე-  
დავდა ქუჩაში თავის გამოყოფას. ყველა იჯდა სახლში, ხოლო  
აუცილებელი საკირო საქმე გამოიყენდა ვისმეს გარეთ. ამ  
სასახლის ბალშიაც არავინა ჩანდა. მარტო ერთი ყვაწვილი-მუ-  
ლატი იჯდა კიბის საფეხურზე. მისი შავი პირისახე თეთრ  
მარმარილოზე მიყრდომილი მეტათ ცხოვლათ გამოიყურებოდა.  
ის ფიქრებს გაეტაცნათ და ეტყობოდა რომ, ვერც არაფერს ხე-  
დავდა და ვერც არაფერს ამჩნევდა. უცბათ ეკელესის საათშა  
შუა დღე დაჭკა. ზარის ხმა ყრუთ გაისმა მთელ მიჩუმებულ  
არებარეზე და ამ სასახლის მარმარილოს თაღებმა ბანი მისცეს.  
როვორც კი მიწყდა ზარის ხმა, ყმაწვილი ნელა-ნელა წამოდ-

ვა და გასწია ქუჩისაკენ. ეკელესის მოედანზე და ქუჩაში მომდევული ხორციელი არავინა ჩანდა, სახლების დარაბები მაგრათ იყო ჩატილი, სამარისებური სიჩუმე სუფევდა ირგვლივ. ძალლებსაც კი ეზარებოდათ ყეფა, ხოლო თავს მაღლა აიღებდენ თუ ვინმე გამვლელს ნახავდნ.

უმაწყილმა გაიარა ომდენიმე სახლი, მერე შეუხვია ერთ ქუჩაში და შევიღდა პატარა თეთრი ქვის ლამაზს სახლში. რკინის კარებიდან ეზოში შესასვლელი გზა დაფენილი იყო სხვა და სხვა ფერი მარმარილოს ოთხკუთხ ქვებით. შუა ეზოში შედრევანს შეიღილი გამჭვინდა, აკაციის და ცაცხვის ხეებით იყო იქაურობა სავსე. წვრილი ხელოვნური სვეტები მთელი ეზოს გარშემო ამართული იყო, კედლებზე ეზოს მხარეს დახატული იყო სხვა და სხვა უცნაური სახეები.

უმაწყილმა გაიარა ცარიელი ეზო და გავიდა სხვა უფრო დიდ ეზოში. შადრევნის გარშემო, შუა ეზოში, საღილს შეექცეოდენ ამდენიმე მონა—ზანგები. ზოგიერთს გვერდით ეწყოთ სამუშაო იარაღები, ეტყობოდათ ახლათ მიეტოვებინათ საჯე. სხვები სხვა და სხვა მხრიდამ იკრიბებოდენ, მერე შედიოდენ სამზარეულოში, გამოჰქონდათ თავიანთი კერძი და მიუსხდებოდენ ხოლმე სუფრას. უმაწყილმა მულატმა მიიღო თავისი წილი და ცოტა მოშორებით ბალახზე დაჯდა.

ეს სახლი და ეს მონა-ზანგები ეკუთვნოდა ერთ სივილის მდიდარ ვაჭარს, სახელად როდერიგოს, რომელიც ღვინით ვაკრობდა და დიდი ალებ-მიცემობა ჰქონდა. მთელ სივილიაში ამისთანა ლამაზი სახლი არავისა ჰქონდა. როდერიგო დიდხანს მოვაზურობდა, ბევრი სხვა და სხვა ქვეყნის ცხოვრება ენახა და რასაც კი მისწვდებოდა—მხატვრობას თუ ძვირფას ავეჯე-ულობას, ყველას იძენდა და მოჰქონდა სახლში, მისი სახლი ყოველთვის სავსე იყო პოეტებით, მხატვრებით და მექანდაკე-ებით. მისი პურ-მარილი ყველას ახსოვდა. კეთილ მიღება იცოდა ყველასი. დიდი ძალი მოსამსახურეები ჰყავდა, თუმცა თვითონ ნახევარზე მეტი არ ესაჭიროებოდა. მათ უფრო სიბრალულით ინახავდა, რადგან იცოდა, რომ სხვაგან ისინი გაჭირებაში ჩავარდებოდენ. იმ დროს მონების ყიდვა შემძლე კაცისთვის



ჩეცულებათ ჩაითვლებოდა, ისინი თავიანთ თავს მონაბეჭდის სირთული  
მფლობელათ სთვლიდენ და როგორც თავის საკუთრებას, ისე  
ექცეოდენ, როდრიგო კი გულისა იყო და მასთან მონები თავს  
ბედნიერათ გრძნობდენ. ბაზარში ნახავდა თუ არა გასაყიდ  
ავათმყოფს, უძლურ მოხუცს, მაშინვე იყიდდა, რომ მასთან  
მშვიდობიანათ გაეტარებინათ დღენი თავიანთი.

— რატომ არაფერს არა სჭავ, სეგბასტიან! ჰეთხა მზრუნველობით მოხუცებულმა მოსამსახურე დედა-კაცმა ყმაშვილ მუნაცის

კუმარები გარეთ არაფერსა სჭამდა და ნალვლიანად გაიყურებოდა შორისაკენ.

— არ მინდა არაფერი, ანნინავ, უთხრა ძალდატანებით  
ყმაწველობა.

— ავად ხომ არა ხარ, ჩემთვის გვრიტო? ჩაციებით ეკითხე  
ბოდა მოხუცებული და თან ხელი გაიშვირა, რომ შუბლზე  
დაედვა.

— დღმესნენ, კეთილო ანინა! მე სულაც ავათ არა ვარ,  
უთხრა ყბაწვილმა და აიშორა მოხუცებულის ხელი. მაგრამ  
ანინამ შეამჩნია, როგორ ყბაწვილს ერთი კურტხალი ტრემ-  
ლი ჩამოუვარდა პურზე, რომელიც ხელში ეჭირდა.

— ჩემი გვრიტო, ტუყილათ გინდა დაფარო შენი ნა-  
ლველი! მიახარი რა დაგვმართა, მე ხომ შენზე ერთი ათად  
გამოცდილი ვარ და ჩემი რჩევა გამოვადგება. ჭამო ჩემ კუთ-  
ხეში და იქ მიამბე ყველაფერი.

კუკელაძი გაათავით საღილი და წავიდ-წამოვიდენ. ანნინამ კუმაშვილი იაყისთან წაიყვანა. მის ოთახში საქსოვი დაზები იდგა და ამ დედაკაცის ხელმძღვანელობით ახალგაზრდა გოგოები მუშაობდენ. ამ უამათ აქ არავინ იყო.

— არა, ანინა, შენ ვერ შეგიძლიან ჩემი შევლა, უთხრა  
ცრემლ მორიცულმა ყმაწვილმა, რომელიც ფეხთ მოუჯდა მო-  
ხუცებულს. — მე ვერავინ მიშევლის. ასე სულელი დავიბადე-  
და სულელივე მოვკვდები! და ცრემლებმა გადმოჰქოთქა მის  
თვალებიდან.

— ვინ ვითხრა, რომ სულელი ხარ! ჰკითხა ანნინამ.

— ყველა მაგას მეუბნება... ჯერ იყო და მოხუცი ფრანგი უდიდეს ცისკო მეუბნებოდა, რომელიც მასწავლიდა კილობის ქსოვას. ჭილობი სულ ბრუნდე გამოდიოდა, ერთხელ სწორე ვერ მოვქსოვე. მერა იყო და მეჩექმებ გამომაგდო, რადგან გავუფუძე მუშტრისაგან შეკვეთილი ჩექმები ბოლოს, აი დღეს, მზარეულიც გამიწყრა... სამრეკლო მზით ისე მშენივრად იყო განათებული, რომ მივჰყევი მის ცეკვის და შაქარი ცომს მეტათ ბლობათ ვუყავი და ამითი შაქრის პური გაფუჭდა... მზარეულმა გამაგდო... ისე შეწუხებული ვიყავ, რომ სახლიდან გავიქეცი და დიდ ხანს აღარ დავბრუნებულვარ. უსათუოდ მიჩივლებს ბატონთან. რას იფიქრებს ახლა ჩემზე ბატონი! ეს მესამეთ იჩივლებენ ჩემზე. სამჯერ მოვკიდე ხელი საქმეს და ვერც ერთხელ ვერა გავიწყება... მერა რა კეთილია ეს ჩვენი ბატონი!... მან აიყვანა ჩემი უძლური მამა, ჩემი პატარა ძმა და მათ არას ამუშავებს. მე ერთი-ორად უნდა ვიმუშავო და ჩემით კი არა გამოდისრა.

— ნუ აწყენ ღმერთს, სებასტიან. ის არის ყველას პატ-რონი უთხრა მოხუცმა დედაკაცმა.—იქნება არა ლოცულობ? გითხოვნია დვთისმშობლისთვის შველა? არა, განა? ტირილის ბავივრათ წადი დღეს ლოცვაზე და სთხოვე დვთისმშობელს, გიშველოს. ის ყველა ობლისა, უპატრონო ბავშის მფარველია გინდა მე წამოგყვები? გონია, რომ არ გაგიშვებენ? არა უშავს რა, მე ვთხოვ მზარეულს.

ამ სიტყვებით მოხუცმა შეუმშრალა ბავშს ცრემლები და სიყვარულით, და ალერსით გადაჰკოცნა.

როდესაც ბინდმა დაჲკრა, ანნინა და სებასტიანი აჩქარებით გამოვიდენ სახლიდან და გაეშურენ მახლობელ ვკლესიაში. წყნარი, დამშვიდებული ზარის ხმა იწვევდა ყველას სალოცავად, თითქმის ყველა ოჯახიდან ვინმე ეშურებოდა ვკლესიაში. ქუჩები ახმაურდა, დიდალი ყმაწვილობა და ხანში ზესული ისპანიელი ქალები, კახტათ მორთულნი თავზე შავი კრუერებით. სიცილით და ხმა მაღლა ლაპარაკით მიდი მოდიოდენ. ჰაერში ისმოდა ხილის, პურის და ცივი წყლის გამყიდვლების ყვირილი. ორი ისპანიელი წარჩინებული კაცი ფე-



რადი წამოსასხამებით იღვენ ერთ დუქნის წინ და უკურნელეს დენ მოხუც მავრს, უნდოდათ ეყიდნათ მისაგან ძვირფასი ხან-ჯალი. ამათ უკან უდგენ ქუჩის პატარა ბიჭები და მასხარათ იგდებდენ. ერთმა ყმაშვილმა სადღაც იშოვა ნაგლეჯი ფარისი, მხრებზე წამოიგდო და ვითომ წარჩინებული კაცი ვარო, და იწყო მედიდურათ სიარული და სიკილით ხიაკვდა თავის ამხანაგებს.

— შეხედეთ, შეხედეთ ამ სებარეულის შავტულაშა ბიჭის დაიყვირა ერთმა ცელქოვანშა და მოელი გროვა ბიჭებისა გა-მოუდგა სებასტიანს.

— საიდან იშოვე მაგოდენა მური! გვასწივლე, ჩვენც გა-ვითხუნებით! არ ასვენებდენ ყმაშვილს, მაგრამ ის მშვიდათ მიდიოდა თავისი გზაზე და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.

— ეგ შავია, მაგრამ კი გული თეთრი, სპეტაკი აქვს... თქვენ კი საძაგლებო! შავი, შავი ხართ ყველაფრით... თქვენი ბინა ჯოჯოჩეთია, — გამოესარჩილა მოხუცი ანნინა თავის სა-ყვარელს.

— უსაკუოთ ჯოჯოხეთში ერთად ვიქნებით, მიაძახე ცელქმა ბიჭებმა.

ანნინა და სებასტიანი უკვე ეკლესიაში შევიდენ. უზარ-მახარ თალები ქვეშ მშვიდიერი სიგრილე და სიმშვიდე იყო. სებასტიანი დაეცა მუხლებზე დვთისმობლის წინ და მხურვა-ლეთ მოჰყვა ლოკვას. როდესაც თვალები მაღლა ააპყრო, მოეჩვენა, რომ ხატიდან მას ლვთისმშობელმა თავისი ძე ქრის-ტეთი ლმობიერებით გადმოხედა და თითქოს ულიმოდა კიდეც-სებასტიანი დიდ ხანს შესკეროდა გამოჩენილ ისპანიელ მხატ-ვრის ნახატს და მან მხოლოდ ახლა იგრძნო სრული სულის სიმშვიდე.

## II

მშვენიერი წყნარი საღამო დადგა დიდი სიცხის შემდეგ: სამხრეთისკენ ცა მოიფინა აუარებელი ვარსკვლავებით, პატარ-ში იდგა დამათრობელი ცვავილების სუნი, და არე-მარემ გაიღვიძა, გამოცოცხლდა.

როდრიგო თავის მშვენიერ ბალის ფანჩატურაში, გაჩაღე-

ბული ფერად-ფერადი ლიფლიფებით იჯდა და ჩასცემოდა  
ვეებერთელა წიგნს, ცულობდა მიმხვდარიყო ამ ახლად უჩქარებოდა  
ბერძნეთიდან გამოტანილ ხელთნაწერის ღრმა აზრებს. მაგრამ  
ამ მომზიბლავშა მშვენიერმა საღმომ ისე გაიტაცა როდრიგო,  
რომ ის უფრო ოცნებობის ქეიფზე იყო, ვიდრე ღრმა აზრე-  
ბის შეთვისებისას.

— საღმო მშვიდობისა, სენიორ როდრიგო! უცბათ მო-  
ისხა ჩმა და მაღალი ტანის კაცი წამოადგა თავს.

— მაესტრო მურილიოს \*) გაუმარჯოს! სიხარულით წა-  
მოიძახა ვაჭარმა და მიეგება — მობრძანდით, გთხოვთ მობრძან-  
დეთ. და ორივე ხელი გაუშვირა სტუმარს.

— მგონი დაგიშალეთ, მევობარი? უთხრა მურილიოს და  
წიგნზე მიუთიოა.

— სულაც არა' დღეს როგორლაც კითხვის ქეიფზე ვერა  
ვარ. აქვა სიცილით როდრიგმა, — ამისთანა მშვენიერ საღმოს  
კაცს თავში არა მოუარა.

— აბა, ბატონი მაესტრო, განაგრძო ვაჭარმა, — რითი  
ვაგიმსაპინძლდეთ! რა ღვინო მოგართვათ: კასტრულისა და ხე-  
რესი<sup>9</sup> მგონი ემჯობინება სამოის ღვინო, რომელიც ახლა ჩა-  
მომიტანეს.

როდრიგმა სამჯერ ტაში დაპკრა და როდესაც მსახური  
შემოვიდა — უთხრა:

— ფილიპე, მოგვიტანე ის ღვინო, რომელიც ამ დღეებ-  
ში მიეროვთ საბერძნეთიდან, მოაყოლე თან ხერესი, ტკბილე-  
ულობა, ხილი.

— მეგობარო, მე დღეს თქვენთან საქმისთვის მოველ,  
თქვა მურილიერ, როდესაც ისინი დასხდენ ტახტზე და შა-  
ხურბა წინ დაუდგა ღვინოები და სანოვაგე.

— ხომ არა გყავთ მოსამსახურე რომ დამითმოთ, თქვა მუ-  
რილიერ, თქვენ ყოველთვის ბლობათ გყავთ მონები.

— მართალია, ახლაც ბევრი მყავს, უთხრა სიცილით როდ-  
რიგმა, — რა ნაირი მსახური გინდათ, ან რისთვის?

\*) მურილიო იყო სახელგანთქმული მსოფლიო მხატვარი.



— Օ համու սայմեր: Վերա ցիոտ վեր մո՛՛մանական շնչառք եղանակութիւնը, հոմ մոմոլայշուն դա դամուսուցուացուն հիմո սամեծաբարող, ֆամուսութիւն մասարամեցն նախարարն, ծայր վերուումանեցն, ես և հա մական դա ես և ա! մասեղուրո - մոնեցն համենչչեր զամուպալու, նացրամ առա մե՛շպարարա. աելու գրուութու մոնեցնուուլու սամսոնի գազապահն, ու վեր սպանութիւն, հիմո նացուուցն մալուան ա՛շուեցն. ոյնեցն հիմ ծեղծու զայսուացու զոնմեց սանդու դա ցամփրուանու! մագլունուելու գազուուցնու - մոնպուուցու? գուցու կյան առ մոնուն. գուցն, ուղուն և սանդու ուցու, սամեծաբարուն մոնուարուն, եղլուն մե. մեսանուրուն դա ցասացնաց-ցամուսացնաց ցամոմալցըս

### Հռօգրուց գայուշութա

— Մյացը յրտու პատրարա ծոյնու - մուլուարո. Տոյքա հռու. հուշոմ, პատրարա սոհնումուն վերջուցք, — մցոնու ցամուցալցընաւատ. մարտալու գուցու կյանուն պատրունու առ առու, վերւ յրտու եղլունա վեր վերուսիացլու, նացրամ կուտուու դա յա ցլունուսա. կապս վեյշունուան մոյնունս

— Մյացը սիրուց մացուստանա մեսայուուցնա

— գուցու սոսմունուեցնու աելուաց ցամփրուեցնու, մացրամ յրտու պածրյունուեցնուա

— Ի գածրյունուեցնուա?

— Եղլունութանու, Ի պատրարա զուցուաց մագ պատրուունու յրտուալ մացուսու մոնեցնուուլունու մամաւ դա პատրաթա մմաւ. յրտեցլու կագույսուուցնու ցացուարք, սաճաւ ու ուցու ցեմու մոնեցն մունցաւատ. իւղելուուց ուսոնու ոչածն լուանաթուուցն եղլումը դա ուսց կուցուան սիրուց ցուլու սկզբուցն աջամունուն, հռօցսապս սամական մոնեցնուուլուցն վզուուցն մուամուրուեցն դա պալ-պալու կուցուան. ծիրանու մոմունու, հռու ցեղուաց մագ ցար սոսածացլուն. Օ սիրուց մանուն ցացունանք, հռու յրտու პարուարու կապս սուլուունութա մոնեցնուուլուն պատրարա սամուն վլուու ծացնուտ դա մյա մալու սպանուուլուն ցամուցլուչք եղլուուն, ցուուու, միւզուն սմբ մացնուեցն ամս սա. պուցը, հռու եցուն առ դապրուու. Օ գրուն ցյես կյեց համու զարդա տուտեմերու վլուու ծոյնու գոյնու դա վերցեցնա, մամաս նոյ մոմա- մուրուեցն դա ոյշեցնու յրտցուլու պա ցոյնեցնու. մարտլուու յա ծոյնու դա մամա դա մմա մալուան սպանուն դա հռուու ցացարու, սիրուց առ ցուու!

— რად უნდა გავაშოროთ! რასაკირველია მამას უკუკულია მასაც წავიყვან... იმდენი შექნება, რომ ლუკმას არ გაძირულებ.. სულ ხომ თქვენ არ უნდა იზრუნოთ გაჭირებულების-თვის. ზოგჯერ სხვასაც დაუთმეო კეთილი საქმეები.

— არ ვიცი ყმაწვილი გამოგადებათ თუ არა. მერე მიუბრუნდა ფილლიპეს და უთხრა: — დამიძხე სებასტიანი.

როდრიგო უჩვენებდა სტუმარს სხვა და სხვა ახლად ნაყიდ ავეჯეულობას. ამ დროს ფანჩატურაში ჩუმად შემოვიდა სებასტიანი. ყმაწვილი შეშინებული და დარცხვენილი ჩადგა კარებში.

— მომიახლოვდი, შვილო! მიუბრუნდა როდრიგო. — აი, ამ სენიორს მიჰყებარ შენ მოსამსახურეთ. დღეიდან ამ ბარინისა იქნები, იმედი მაქს, რომ ამასაც ისე მუყაითად ეჩსახურები, როგორც დღემდე მე.

ყმაწვილმა ცრემლებით სავსე თვალები მიაპყრო თავის ბატონს.

— სენიორ, თქვა მან ხმის კანკალით, — როგორც მიბრძნებთ, ისე მოვიქცევი. მე არ გამოგადექი კაი მოსამსახურეთ და იმიტომ მყიდით... მე ჩემ მეცადინეობას არ გაკლებდით...

— დამშვიდი, ჩემო შვილო, გააწყვეტინა სიტყვა როდრიგმა, — მე იმიტომ კი არა გყიდი, რომ კარგათ არ მემსახურებოდი. სენიორ მურილიოს ესაჭიროები და მინდა დაუთმო შენი თავი. შენთვის სასახლო იქნება, რომ ემსახურო ამისთანა გამოჩენილ მხატვარს.

— გმადლობთ, ბატონო, წაიბუტბუტა სებასტიანმა და თავი დაბლა დახარა. — შეიძლება რომ წავიდე?

— წადი და მოემზადე წასასვლელათ.

— გესმის, ჩემო კარგო, მამა და ძმაც თან უნდა წამოყვანო. უთხრა მურილიებ.

სებასტიანმა სწრაფლად თავი მალლა აიღო, ჯერ თავის ახალ ბატონს შეხედა, მერე როდრიგოს და როცა მათ შოლიმარე სახეზე შეატყო, რომ მართალს ეუბნებოდენ — ყმაწვილს თვალები სიხარულით აენთო.



— დიდათ მადლობელი გარ! წამოიძახა ყმაშვილში მარწიფიან ნელი ნაბიჯით გაფიდა ოთახიდან.

— ყმაშვილს თვალებზე ეტყობა, რომ სულელი არ უნდა იყოს. დიდ ხანს დაჩაგრული ყოფილა და იმედი მაქვს გამოკეთდება, თქვა მურილიერ.

— ღმერთმა ჰქნას... აბა დავუალოთ ჭიქები, თქვენი სადლეგრძელო, ბატონო მაესტრო! ღმერთმა გაცოცხლოთ მრავალ წელს, რომ არ მოვაკელოთ იმისთანა განჯებული ნახატები, როგორიც არის თქვენი საოცარი ნახატი „შმინდა ანტონის მოჩვენება“.

მთვარე ნელა-ნელა ამოდიოდა და ანათებდა ბალებში ჩალულ ლამაზ სევილის, ვერცხლის ფერს აფენდა აქაფებულ შლინარე გვადალკვივირს და ანათებდა ივნის სევტებს და ბალების მოაჯირებს. სობოროს საათმა დროი ხანია დაპკრა თორმეტი. მიჩუმდა არე-მარე.

მთვარის შუქმა შეანათა ის კუნკული, სადაც ლარიბ ქვეშაგებზე იჯდა სებასტიანი. ყმაშვილს არ ეძინებოდა. ხელები მოეხვია მუხლებზე და ზედ თავი დაედო. მოუსვენრად იყო, გული უფანკეალებდა: „ვინ იცის რა მოელის ახალ პინაჩე, ახალ პატრიონთან“. უცბათ მთვარემ მიანათა პატარა უბრალო გამოქანდაკებულ მადონას, რომელიც კუთხეში სამფეხა მიგიდაზე იდგა. სებასტიანმა სასოებით ხელები გაიშვირა ღვთისმშობლისკენ, თითქოს შეელას სტხოვდა... შორილან მოისოდა გიტარის უკანასკნელი ამოკენესა. მთვარე თანლათან მაღლა ცაზე ადიოდა და ანათებდა დაცარიელებულ ალკაზარის ბალებს. სრულ მდუმარებას არღვევდა ხოლო შადრევნების შეუწყვეტელი, საიდუმლოებით სავსე, შუვილი.

### ან. წერეთლისა.

(დასასრული შემდგენ)

# შესანიშნავი ქვეყანა.



(მოგზაურობა ჩრდილოეთ ამერიკაზე)

ახალი ინგლისი.

### III.

აღ აქ ნიუ-ორენდან ჩეცნ გავეძგხავ-  
რეთ იმ ჩრდილოეთ ამერიკის შეერ-  
თებულ შტატებში, რომელსაც სახუ-  
ლათ უწოდებენ ახალ ინ-  
გლისს.

ეს - ახალი ინგლისი + შედ-  
გება ექვსი პატარა შტატიდან. უცემესი  
ნაწილი ამ დღისთვის მთა-გორაკებიანია.

აქ გასწერივ აპალანის მთებია. ამიტომ აქაური მიწის ნიაღა-  
ვი ვერ არის მოსავლიანი. ცოტაოდენი ნოკიერი აღვილები  
მოიპოვება მხოლოდ მდინარეების მიდამოებზე, ისიც ძალიან  
ვიწრო აღვილებია, ატლანტის კუკანის ნაპირებზე. შტატი  
მეინი ტყეებით და ტბებით არის სავსე. „ახალი ინგლისი“-ს  
სხვა შტატები კი სულ კლდე-ქვიანია და გამოსაყენია მარტო  
საქონლის საძოვრათ. ზამთარი აქ გრძელი და ციფი იკის.  
თოვლი თვეობით ძევს, ამიტომაც „ახალ ინგლისი“ ს მცაო-  
რებლებს ხშირად ჰური ზემოაკლდებათ ხოლმე და მდინარე  
მისისიპის მიღამოებიდან მოაქვთ.

ყველა აქ ზამთავლილი აფიქრებინებს კაცს, რომ ეს ად-  
გილებ, შეერთებულ შტატებში უნდა იყოს ულარიბესი; ხალ-  
ხი აქ ნაკლებათ უნდა ცხოვრობდეს და საშინელ სიღარიბეში  
უნდა იყოს ჩავარდნილი. ნამდვილათ კი საქმე სულ სხვანი-

რათ არის. ეს მხარე ძალიან მდიდარია და ხალხიც ბულგარული ცხოვრობს მეტადრე ამ შტატების სამხრეთ მხარეში იყრიც მუხლები. დედა-მიწაზე არც კი მოიპოვება ამის-თანა მდიდარი ყველანა. მავალია ად შტატი მასაჩუსეტი ისე-თი მდიდარია, რომ მთელი დასავლეთი შტატების აღგილების ყიდვა შეუძლიან, თუმცა ეს დასავლეთის აღგილები აოჯერ მასზე მეტია.

ახლა არ იყიდთხავთ საიდან გაჩნდა: ეს სიმდიდრე? „ახალ ინგლისში“ ხომ არ არის ოქრო-ვერცხლის ან რკინის მაღნე-ბი! ან დიდი ქვანახშირის მღვიმები!

ამის საიდუმლო მოინახება თვით მრეწველობაში და აღებ-მიცემობაში. სწორეთ იმ მთების ფერდოები, რომელიც გვი-ნიათ რომ უნაყოფოა—აძლევს „ახალ ინგლისს“ დიდ სიმ-დიდრეს. ეს მთები ზღვის ახლოს მდებარეობენ და მთებიდან მდინარეები, წყაროები ისტონისაზე მდებარეობენ და აძლევენ წყლის დიდ ძალის სწორეთ იმ მიდამოებს, სადაც ზღვის იალქნიან ნავებს შეუძლიანი, შეუმუშავებელი საქონლის იაფათ შიტანა ქარხნები და იქ შემუშავება. მერე ამ ქარხნებში მომზადე-ბული ჩამუშავარი გააქვთ მთელ დედა-მიწი, მხარეში. აქაურმა მცხოვრებლებმა გაიგეს და კიდევ ისარგებლეს: ამ მდინარეე-ბის და წყაროების ნაპირებზე გამართეს დიდ ძალი ფაბრიკები, ქარხნები. ამათ წყლის ძალა უფრო იაფად უჯდება, ზოგ-ჯერ ერთი პატარა მდინარე ასი ცხენის ძალის უდრის. ამ ქარ-ხნებში მუშაობა უმეტესათ წყლის ძალით არის. გამოაწვარი-შებული აქვთ, რომ შეერთებულ შტატებში შეიძლება ისეთი წყლის ძალა მოიპოვონ, რომ უდრიდეს ორასი მილიონის ცხე-ნის ძალას.

„ახალი ინგლისის“ მცხოვრებლებმა დიდი ხანია მიჰყვეს ხელი მრეწველობას და არც შესცდენ, რომ არით უფრო მე-ტი სარჯვეთ მუშაობდენ, ისე ქარგათ, ხელოვნურათ და იაფათ იკეთებდენ ყველაფერს, რომ სახელი მოიხვეჭეს. როდესაც დაი-ნახეს რომ პენსილვანიიდან შეიძლება იაფ ფასათ ქვა-ნახში-რის შეწორანა, მაშინ „ახალ ინგლისში“ აუარებელი ქარხნე-



ბი გამართეს და ორა თუ შეკლის ძალით — ორთქლის ძალით უდიდესობაზე  
მოჰყენ მუშაობას.

,,ახალ ინგლისში“ ბერ სხვა და სხვა საქონელს ამზა-  
დებენ. ნახევარზე მეტი ბაშბეულობა, რომელიც გამოაქვთ  
მთელ შეერთებულ შტატებიდან ნაქსოვია „ახალ ინგლისში“.  
დიდრონი ქარხნები ქსოვენ ბაზილან ყოველგვარ ჩითებს,  
მიტკლებს, შილაიებს და ბატისტებს.

იმის შეალობით, რომ ამ ადგილებში წყალი დიდ ძალას  
იძლევა ააშენეს ვეგა მრეწველთა ქალაქები. ამ ქალაქებში  
უმთავრესათ აქვთ გამართული ბამბის საქსოვები. მეტათ ბერ  
საქსოვს ამზადებენ ქალაქ ლოუელში.

,,ახალ ინგლისიდან“ გამოაქვთ აგრეთვე დიდ ძალი  
მატყლეულობა.

მასაჩუზეტის შტატში ორის ბევრი ბამბის ფაბრიკები. ამ  
ქალაქის ქარხნებში ამზადებენ აუარებელ ჩექმებს და ქალების



### ფეხსაცმელების ქარხანა

ფეხსაცმელებს. თითქმის ნახევარი ხალხი შეერთებულ შტა-  
ტებისა ხმარობს ამ შტატის ნაწარმოებ-ფეხსაცმელებს. შტა-  
ტი კონნექტიტიტი ამზადებს ურიცხვ კედლის საათებს. ამ  
შტატში დიდ ძალი ქარხნებია, სადაც აკეთებენ ფოლაქებს,

დუგბებს, ქინძისთავებს და სხვ... ამ ქალაქშივე არცას ქართულობა  
საღაც მზადდება რკინის და სპილენ ის სხვა და სხვა უკანონობების  
—როგორათაც დანები, ლურსმნები და სხვა რკინეულობა.

„ახალი ინგლისი“ გათქმულია თავისი უბის საათებით.  
სამხრეთის მხარეს უთველავი კაცები და დედაკაცები ამზადებენ  
საათების შიგნითი გულის მოწყობილობას. რაც უნდა უბრა-  
ლო საათი იყოს ორმოც და თოათხმეტი ნაწილიდან შედგება.  
სხვა საათებში ვინ იცის რამდენი ნაწილი! ყველა ეს პატარა  
ნაწილები, რომლებსაც თვალი ძნელათ ხედავს, დიდი სიფრთ-  
ხილით და ხელოვნურათ უნდა მოიწყოს. ზოგიერთი საათის  
ნაწილი ისეთი პატარაა, რომ მასალა მისი სულ არაფრად ღირს,  
გაკეთება კი გამოიწვევს შესაფერათ დიდ ხარჯს, მაგალითათა�  
ხოლო ერთი გირვანქა თითბერი სჭირდება ბურღლების (ვინ-  
ტების) და საათის სხვა წვრილმანის გაკეთებას და ხელოს-  
ნებზე და მუშებზე კი ხარჯი არი ათას მანეთამდის. ჩვენ  
გვაჩვენეს ერთგან საათის ისეთი წვრილი ჩარხი, რომლის გა-  
კეთება ურიცვვ ხარჯს გამოიწვევს. ზოგჯერ მასალის ფასი  
ოთხ მანეთ ნახვებარია — ხარჯი კი უდრის ათას მანეთს

მეორე სიმდიდრე „ახალ ინგლისის“. მცხოვრებლები-  
სას შეადგენს აღებ-მიცემობა. მეინის შტატის ნაპირებს რომ  
დააკეირდეთ, ნახავთ რომ ეს ნაპირები დასერილია ხერხის  
კბილებით და ამგვარი ადგილები არის საუცოდესო ნავთსა-  
შუდარი ყველა გემებისა და ხომალდებუსათვის. ამისთანა ნავთ-  
საყუდარის წყალობით ზღვაოსნობაა გავრცელებული პა-  
ტარაობიდანვე ყმაწვილებს ესმით სხვა და სხვა თავგადასავლის  
აბბები ზღვაზე და მოიზრდებიან თუ არა სიხარულით გადიან  
ზღვაზე. მარტო მეინის შტატიდან თორმეტი ათასი კაცი გა-  
დის გემებზე შეზღვაურათ. „ახალი ინგლისის“ გემებით მო-  
ფენილია მთელი ქვეყნის ზღვები. აქაური ქალაქის ბოსტონის  
ნავთსაყუდში ჩერდება თითქმის მთელი დედამიწის გემები  
და უმეტესი ნაწილი მთელი ამერიკის საქონლისა გადის საზ-  
ღვარ გარეთ აქაურ ნავთსაყუდრიდან.

ახლა „ახალი ინგლისი“ მოვენილია რკინის გზებით.  
ერთი გზა ბოსტონს უერთებს ჩიკაგოს და მისისიპის დელვ-

ებს და ექვსი ვერსის სიგძლივ გაყვანილია გვირაბი. ამ ექველები მოაქვთ ბოსტონში ხორბალი და სხვა საქონელი ატლანტიკის თეატრებში გასაგზავნათ. ვინც კი დააკვირდება ამ აღვილებს ნახავს, რომ საქონლის მარატებლები შეუჩერებლივ წინ და უკან დაიარებიან.

უველამ კარგათ ვიცით ჩვენ ცხოვრებაში აღებ-მიცემობის შიგენელობა. რასაცა ვქამთ, რასაცა ვსეამთ, რასაც ვიცეამთ—უველაფერი ვაჭრობით არის შეძენილი, უველაფერი ნაყიდია. მაგრამ ყიდულობენ და ჰყულიან უველა იმ მასალასაც, რომლისგანაც შენდება სახლები, კეთდება ტანსაცმელი, სახლის ავეჯი და ყოველგვარი იარაღი. როგორც ეს შეუმუშავებელი მასალა, ისეც მისგან გაკეთებული ნამუშევარი გადააქვთ ათასი ვერსის სიშორებზე და იქ ჰყიდაან. „ასალი ინგლისის“ ქარხნები შეამუშავებენ ხოლმე დიდ-ძალ მასალას, რომელიც მოაქვთ ევროპიდან, აზიან, სამხრეთ აფრიკიდან და სხვა კუთხეებიდან.

ავილოთ მაგალითათ ფეხთსაცმელების ქარხანა. ზოგიერთი ტყავი მოტანილია გაუქნელი სამხრეთ-ამერიკიდან, ზოგი ტყხასის ლელებიდან, ზოგი კი საფრანგეთიდან, გერმანიდან და ინგლისიდან. ზოგი კიდევ მოტანილია ჩინეთიდან, ინდოეთიდან და თვით კორეეთიდან.

თუ „ასალ ინგლისში“ ტყავს გაუქნელს მოიტანენ, მაშინ მოჰყვებიან მის გაქნას. დიდხანს აღბობენ მუხის ქერქის წვენში, მერე კარგა გარეცხავენ, გააშრობენ, ქონს წაუსვამენ რომ დარბილდეს და ბოლოს შელებამენ. ისე რომ ტყავი სხვა და სხვა მუშის ხელში გადადის, სანამ მისგან ჩექმებს მოამზადებენ. აბლა რაც ფეხთსაცმელს დასჭარდება ფოლაქები, პატარა ლურსმები, თასმები და ზორხნები კეთდება სხვა და სხვა ქარხნებში და ისე მოაქვთ აქა. ამ წერილმანისათვის მასალა კიდევ სხვა და სხვა ქალაქებიდან მოაქვთ.

ახლა მანქანების წყალობით უველაფერი უფრო აღვილათ და უფრო იაფათ მზადდება.



ახალი რეგულისტი მთები ჩა ტბება.

ପ୍ରକାଶକ

IV.

ახალი ინგლისში ბევრი მოებია. მათ შორის უესტინგჰამის  
აპპალუანის მთები, რომელიც მდინარე შისისიპის გასწვრევ  
არიან ამართულნი. ამ მთების ზედა პირას ეძახიან თეთრ მოებს  
და ისეთი მშვენიერია და თვალ მომტაცი, რომ გაარქვეს  
ამერიკის უეკიცარია, ამ თეთრი მოების მწვერვალოს სახელით  
უწოდებენ ვაშინგტონს. საკუთრივ გასჩე ასასვლელათ, ასე  
ვერს ნახევარზე, გამართულია რეინის გზა. და ისეთი დაღ-  
მართია, თოთქო მატარებელი კიდევბზე ჩამოილო და ეს არი  
ახლა ძირს ჩავარდებათ, მაგრამ ლიანდაგი ისეა მოწყობილი,  
გზა ისეა გამართული, რომ აქ არც ერთხელ უბედურება არა  
მომხდარა.


ჩვენ რომ ამ გზით ავდიოდით მშვენიერი დილა იღება, მთელი არე მარე მოჩანდა ღია ფანჯრებიდან. ჩვენ ვიჯექით მთისკენ ზურგ შექცეული. რაც უფრო მაღლა ავდიოდით ბურუსი ჰატულობდა, ბოლოს სულ მაღლა ბურუსში გავე-ხვიდთ. იქაურები გვეუბნებოდენ, რომ ეს მწვერვალი უაშინე-ტონი. დღეში რამდენჯერმე იმოსება ასე ბურუსით.

ბოლოს კა მოიწმინდა და საუცხოვო სანახვი ჭარმო-  
გვიდგა თვალშინ. აქედან მოჩანდა აუარებელი მთა-ველები. სულ შორიდან კინადა გამოიყურებოდა.

მწვერვალი ვაშნინგტონზე აშენებულია სასტუმრო, „ახალი ინგლის ში“ ყველან მთებზე მგზავრებისთვის ბინა კარგათ არის მოწყობილი. მეტადრე ზაფხულში ეს ადგილები მგზავრებით არის საესე, საგრილობლათ მოდიან სუფთა ჰაერში, თანვე სტაბებიან მშვენიერი გადასახედავებით.

მეინის შტატში დიდ ძალი ტბებია, სადაც ბევრი ორა-  
გულები და სხვა და სხვა თევზები. ახალ ინგლისიდან საზო-  
გადოთ ბევრი თევზი გამოაქვთ. ის თევზი კი, რომელიც საზ-  
ღვარ გარეთ გააჭირ ზღვაშია დაჭრილი.

ზღვის პირას მცხოვრებლები იკვებებიან თევზის ვაჭრობით. მდიდარ მეთევზებს იქვთ საკუთარი დიდრონი ნავები,



რომლითაც მიღი-მოდიან ნიუნფლაუნდის ნაპირებთან. უაჭაფულე  
გამოაქვთ ყოველ წლივ მილიონი მანეთის თვეზი. გიგანტულია  
„ახალი ინგლისი“ განთქმულია კიდევ თავისი მაღნებით.  
აქაური გრანიტი ითვლება ერთ საუკეთესო შენობის მასალათ.  
აქედან ეს ქვა გააქვთ მთელ შეერთებულ შტატებში. ამერიკის  
ზოგიერთი ქალაქების ქუჩები მოკირწყლულია ახალი ინგლი-  
სიდან გამოტანილი გრანიტის ქვით. ამავე ქვით არის ამარ-  
თული ბევრი სახლები.

გარდა გრანიტისა ზოგიერთ „ახალ ინგლისის“ ადგილებში  
მოიპოვება მშვენიერი მარმარილოს ქვა. თითქმის ნახევარი  
მარმარილო, რომელიც არის შეერთებულ შტატებში გამო-  
აქვთ ვერმონტის შტატიდან.

ჩვენ ვნახეთ ვერმონტის მაღნები, საიდანაც დიდი სიფრ-  
თხილით სკრიან მარმარილოს. მერე სხვა და სხვა იარაღე-  
ბით სთლიან ამ მარმარილოს და გააქვთ გასაყიდათ.

გარდა ამისა „ახალ ინგლისში“ არის ბევრი ასპიდის ქვა.  
ასპიდის ქვას სთლიან ფურცლებათ და მითი ხურავენ სახლებს.  
ამავე ფურცლებიდან აკეთებენ სასწავლო დაფებს. მის გასა-  
რანდავათ და გასასუფთავებლათ ბევრი ქალ-ვაჟი მუშაობს.

„ახალ ინგლისში“, ამზადებენ ნაკერჩხლის ხის წვნიდან  
ერთგვარ შექარს, რომელსაც უძახიან ვერმონტის შექარს და

მოსწავლე ყმაწვი-  
ლების საყვარელ  
ტკბილეულობათ  
ჩაითვლება. გა-  
ზაფხულის დამ-  
დეგს აგროვებენ  
ამ ხის წვენს ხის  
ძირის ცოტა მაღ-  
ლა აკეთებენ ფუ-  
რცლების, შიგ ჩა-  
დებენ ხის პატარა  
ღარს, მაღლ ხი-  
დან ღარზე გად-



შექარს წვენს როგორ იღებენ.  
მოვა წვენი და თითო წვეთობით ჩადის ჭურჭელში, რომელიც



უდეგია ლარს. წევნის გემო ტებილი და სასიამოვნო აუქტორულები შექრის წყალს მიეგვანება.

როცა კურქელი გაიცემდა — ამ სითხეს კასრში გადასხაშენ. შერე კასრები გააქვთ შაქრის ქარხანაში. იქ ასხაშენ დიღროონ ქვაბებში და ისე აღულებენ. წვენი თანდათან სქელდება. როცა კარგათ გასქელდება ყალიბში ჩაასხენ და ასე შაქარი გამოიდის.

“**ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣ** ଗୁରୁଗନ୍ଧି.

Y

„ხეალი ინგლისიდან“ ჩვენ გავწიეთ სულ სამხრეთისაკენ, სადაც მდინარე ჯემსის სათავეა. ამის ახლის ზღვაში არის ნაკონისაუკუდი ნორთოლყუ. სწორეთ იმ აღგილის კაპიტან სმიტის მეთაურობით ინგლისელები პირველად 1607 წელს უშორესიდენ ამერიკაში.

კაპიტან სმიტშა დაჰყო აქ რამდენსამც ხანს. ამან მაშინ  
პირველათ ნახა ამერიკის მკვიდრთა მცხოვრებლები — წითელ  
კანიანი ინდოელები. ამ ქვეყნის პატრონები კარგათ არ და-  
უხდენ ახალ მოსულებს, ისინი გრძნობდენ რომ ამათი მო-  
სელა სახეირო არ იქნებოდა — მიწებს წაართმევდენ. მართ-  
ლაც კაპიტან სმიტშა აუტეხა ჩეუბი, ბრძოლა. მოინცომა აფ-  
რიკაში ევროპიელების დასახლება და მკვიდრთა მცხოვრებ-  
ლების განლევნა, დაუსრულებელი ხოცვა-ულეტა იყო. ევრო-  
პიელნი იუვენ კარგა შეიარაღებულნი, მომზადებულნი, რო-  
გორც დროს შემფეროდა; ინდოელები კი ეომებოდენ გამე-  
დულათ, გაიძვერობით და თავიანთი აღვილების ცოდნით.  
ინდოელები გმირულათ იბრძოდენ, რადგან არ უნდოდათ  
თავიანთი მიწა წყლის დაკარგვა. ბრძოლა თანასწორი არ  
იყო და ევროპიელები ულეტავდენ ინდოელების მოლ-  
გმებს. გადარჩენილნი ინდოელები ძალა უნდებურათ უამობდენ  
თავიანთ აღვილებს და სულ დასავლეთისაკენ იმალებოდენ.  
გამარჯვებულნი მაშინვე სახლდებოდენ ინდოელებისაგან მი-  
ტოვებულ აღვილებზე. ასე გაშენდა ამერიკის მიწებზე ევრო-  
პიელების ახალშენები.

ინდოელების მოდგმა თანდათან ამოწყდა, ამის დაქრიციული  
ევროპიელებისაგან შემოტანილი სხვა და სხვა ავათმყოფობა  
და სიმთხვრალე, ევროპიელები უცვლიდენ თქრო-ვერცხლში  
აჩაყს. უბედურები ისე შეეჩივნენ არაყის სმას, რომ რაც  
კი ბადათ — არ ზოგავდენ — ერთი ათათ სამაგაეროს აძლევ-  
დენ. ინდოელებს აღარა არჩათ რა თავის შესანახი: — ადგი-  
ლები დაჲკარგეს, გარეული პირუტყვი დაკოტავდა. შიშმი-  
ლით და არაყისაგან გათასირებულ სხეულს მოემარა ათას  
გვარი ავათმყოფობა.

თუმცა მეცხრამეტე საუკუნეში ამერიკის მართველობამ  
განსაზღვრა ადგილები, სადაც უნდა ინდოელებს ეცხოვრათ  
თავიანთ ნებაზე და ჩვეულებაზე, მაგრამ ახალ გადმოსახლე-  
ბულთა რიცხვმა ისე იმატა, რომ ამათ თანდათან დასავლე-  
თისაკენ გაიწიეს. ინდოელების საკუთარი მიწები მცირდებო-  
და და მათი რიცხვიც კლებულობდა.

ახლა შეერთებულ შტატებში ინდოელები სულ ცოტალა  
დარჩა. რამდენიმე ასიათასი თუ იქნება, ესენიც უმეტესათ  
ქალაქებში ევროპიელებთან ერთად ცხოვრობდნ, ინგლისურათ  
ლაპარაკობენ და საზრდოობენ როგორც თეთრ კანიანები,  
ხოლო მათზე უფრო ღარიბნი არიან.

ჩვენ უკვე ვიჩინიათ მივედით. აქ როგორც სხვა ადგი-  
ლებში დიდი მამულებია. მცხოვრებლებს მოპყავთ პური,  
ქერი, თესვენ თამბაქოს, მოდის მიწის თხილი, სიმინდი. ადრე  
ამ ადგილებზე ამუშავებდენ მონა ზანგებს.

ზანგები, ვიცით, აქაური მკვიდრი ხალხი არ არი. ისინი  
მოყვანილნი არიან აფრიკიდან, თეთრ-კანიანები იგდებდენ  
ხელში ზანგებს ან ძალით, ან მოტყუებით. ხშირათ ზანგების  
მოწინავე კაცებს აძლევდენ წერილმანს — თაღლითს, პატარა  
სარკებს და სამაგიეროს მათგან შოულობდენ მონებს. მერე  
ამ ნაშოვნ ზანგებს პკრავდენ ერთად, შეჯაპვამდენ ასობით და  
როგორც საქონელს წაასხატენ, მიათრევდენ, საშინელ სიკ-  
ხეში ოკეანის ნაპირებისაკენ და იქ ჩაპყრიდენ პუპკიან ხო-  
მალ დებში; საბრალონი მშიერ-მშეც-რვალნი, შევიწროებულნი  
ავად ხდებოდენ. ბევრი მათგანი გზაშივე კვდებოდა და ზღვა-



ში ჰყოიდენ. ამგვარად მუქთად ნაშოვნი შავი საქართველოს  
კულტურული ძეგლების დაცვისა და განვითარების  
გვის, არ ემეტებოდათ ხეირიანი საჭელი და ნახევარშე ზაფ-  
ლებსაც რომ მიეღწია ბაზრამდის, მათი ვაკრები მაინც მო-  
გებაში იქნებოდენ. ამერიკაში ცალკე ბაზარი იყო გამართუ-  
ლი ზავების ყიდვა-გაყიდვისთვის.

პირველად ზანგები მოასხეს 1620 წელს ვირგინიაში. ზანგებით ვაჭრობას დიდი სარგებლობა მოჰქმნდა. სამხრეთის დიდი მემამულები ისე ამზადებდენ ზანგებს, როგორც ცხვ ველებს; ესენი დაუსვენებლივ მთელი დღეობით მუშაობდენ და ზედამხედველი თავს აღავთ წკეპლით. მონების პატრონები როგორც თავიანთ საკუთრებას ისე უყურებდენ ამათ. როგორც მდიდარია ის კაცი, ვისაც ბლობათა ჰყავს საქმელი ისეც, ვისაც ბევრი ზანგები ჰყავდა—ის ითვლებოდა მდიდარ კაცათ. მონების პატრონს თითქოს არ ესმოდა, რომ ზანგიც აღამიანია, რომ მასსაც აქვს გული, რომ მას ცოლშეიღის, ნათესავების სიყვარული უღვევის. თუ ვაჭარს სასარგელოთ მიაჩნდა დედას შვილს აშორებდა; და ქმარს—ცოლს. სამხრეთ შტატებში, სადაც უფრო დიდი მემამულები ცხოვრობდენ და მიწის ნამუშევარი ღიღი იყო—იქ მონობა ძალზე იყო გავრცელებული. ჩრდილოეთ შტატებში კა, საცა ქარხნები და ფაბრიკებია იქ ზანგების მუშაობა არ გამოდეგებოდა და მუშები დაქირავებული ჰყავდათ. ამიტომაც ჩრდილოეთ და სამხრეთ შორის ქიშპობა და უსიამოვნება ჩამოვარდა, რომელიც გათავდა ომით. 1876 წელს მოისპონონ ზანგებმა მიიღეს თავისუფლება და ისეთივე უფლებები სახელმწიფო საქმეების წარმოებაში, როგორც მკვიდრ ცხოვრებლებმა.

მონაბა ამერიკაში ერთბაშათ არ მოისპო. ამერიკულები დიდხანს ზანგებს არ უყურებდენ ისე, როგორც თავის თანა-სწორს. თუმცა ზანგები ცნობის მოყვარენი არიან უა გამჭვია-ხენი სწავლაში, მაგრამ თეთრებზე ნაკლებათ განვითარებულნი არიან. ამის გამო თეთრები ზანგებს თავისთ თავზე მდაბლათ-აყნებენ. ზანგებს ცხოვრებაში დიდი მოთხოვნილება არა აქვთ და სამუშაო ფასისაც ნაკლებს თხოვლონ्दენ. თეთრი ჩატარ

ძნელათ თუ გაპყვება ზანგს, არც ზანგის ქალი ბედავს ტრიუმფი გერთვას რი კაცის შერთვას, ესენი უფრო განცალკევდებულნი ცხოვრობენ. ამათთვის ცალკეა გამარჯული სასწავლებლები, სასტუმროები, ყავახანები. თუ ზანგი ჩაიდენს რასმე მძიმე დანაშაულობას, ან ეჭვს აიღებენ მის დანაშაულობაში, თეთრს შეუძლიან თავისებურათ გაასაბართლოს და არავის წინ პასუხის გებაში არ იქნება.

ზანგებთა შორის ახლა არიან ძალიან განვითარებულნი. იმისთანებიც არიან, რომ თავიანთ ძალ ღონეს და სწავლას არ ზოგვენ გომების სასარგებლოთ.

გადავავლოთ თვალი ვირგინიას! რა არის იქ შესანიშნავი! ქალაქი ნორფოლკი იმითია განთქმული, რომ აუარებელი ლოკომინებით ვაჭრობს. მაგრამ ეს ქალაქი იმითია უფრო საყურადღებო, რომ გამშირებული ვაჭრობა აქვთ მიწის თხილით. ყოველწლივ აქედან გამოიაქვთ უთვალავი ფუთი ამ მიწის თხილისა. მოელი ვირგინიას მინდვრები მოფენილია ამ მცენარით. მიწის თხილი ჩვეულებრივ იყიდება ჩანახი (ბათმანი) ორ შაურათ. ძნელი წარმოსადგენია რომ ამ მცირე ფულით კაცი გამდიდრდეს. მაგრამ ნამდვილათ სულ სხვაა. ყოველ წლივ აუარებელი კოდი თხილი იყიდება და კაი მოსავლიან წელიწადს საღდება ორი მილიონი მანეთისა.

მიწის თხილი სამზღვარ გარეთაც გააქვთ. მას საქაჩქლში ვაატარებენ და ზეთათ გამოხდიან. ზეთის ხილის მაგივრათ ხმარობენ.

ეს მიწის თხილი არც ხევბზე და არც ბუჩქებზე ასხია. მიწიდან ამოდის, როგორც კარტოფილი. მაისის თვეში იკიან მისი დათესვა, თხილს შაგარ ნაჭუქს იცლიან, ისე ფრთხილათ კი რომ არ აენონ მის წითელ კანს, რომელშიაც ძეგს თხილის გული. დღიურზე ეჭვსი კოდი თხილის მარცვალი დაითესება და თუ კაი მიწა შეხვდება არათუ სამოცამდინ — სამას კოდამდის მოვა თხილი.

ჯერ გამოჩნდება ნორჩი მწვანე ფოთლები, მერე ლეროები, რომელნიც ყვავილს მოისხამს, მერე ეს ყვავილები ლე-



କୁଣ୍ଡଳ ହୀଙ୍ଘେବା ମିଥାଶି ଲା ଏହି ପିଣ୍ଡିତ୍ୟରେ ତେବେଳିରେ ଅନୁଷ୍ଠାନିକ ପାଇଁ ତେବେଳି ଶେମୋଲଗମାନ୍ଦେ ଅଗରୁଣ୍ୟରେ ଲ୍ୟାରୁଣ୍ୟରେ ଅନୁଷ୍ଠାନିକ ମିଥିଲାରେ,



მიწას ჩამოაკლიან და ამ ღეროებს კოლოკებზე ჩამოვიდე-  
ავ გასაშრობათ. ორი კვირის  
შემდეგ მუშა დედაკაცები ლ-  
ყანაწვილები ჩამოაკლიან თხი-  
ლებს და კალათებზი ჩაჰურიან.

ეს თხილი ხოლმებ ისევ ტბ-  
ლახიანი არის, უნდა გასუფთა-  
ვება. გასასუფთავებლათ ხმა-  
რობენ ისეთ მანქანას, რომელიც  
მიეგვანება შინაურ საფეხავს.  
შერე დედაკაცები და ქამაწვილე-  
ბი გადაარჩევენ კარგს და გაუზ-

კებულ თხილს, ჩაალიგებენ პარკებში, ტომჩებში და ისე გზა-  
ნიან გასაყიდათ.

ნორთულებიდან გავემზავრეთ გემით ვირგინის სატახტო ქალაქში — რიჩმონდში. მდინარე ჯემსის ნაპირები დაბლობი ადგილია და მოსავალი ძალიან კარგი იცის. ორივ მხრივ ამ ნაპირებზე გაშენებულია მდიდარი მემამულეთა შენობები. რა-მდენიმე საათის შემდეგ ჩევრ მივადეკით ჯერ იმ ადგილს, სა-დაც სმიტს მოსელის უმაღლეს ქალაქი გაეშენებინა. მაშინ ვირ-გინის დედა ქალაქად ითვლებოდა ჯემსტაუნი. ახლა ამ ქა-ლაქის მაგივრათ ნანგრევებია და კუნძულიდან, რომელიც აქვე მდინარეზეა მოჩანს სამრეკლო სურიოთი შემოხვეული ძე ხორცი-ელი აქ არავინა ჩანს: ხოლო კაცი ძროხას თუ ნახავს ბალახებ-ში და გზბეგებიდან ბაყაყების ყყიინს თუ გაიგონიძეს.

Зинъвръзливата гъркомандирана бригада еднодолни са и са губитъкът. Зинъвръзливата гъркомандирана бригада еднодолни са и са губитъкът.

(ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ)

## საქართველოს ყმოქრება და თავეადასავალი მე-4 — I-ელ სა- უკუნეში ქრ. წინ.

1. მცხოვრის ხამეფოს დაზისება. როგორც ვიცით, მე-6 საუკუნიდან მოკიდებული მთელი ქართველობა სპარსეთის ხელში იმყოფებოდა. სპარსეთის სატრაპები (მეფის მოადგილენი) და ჯარი მძიმე ტვირთად აწვენ საქართველოს და მის მკვიდრთ ძალაუნებურათ უღებელდენ უცხოთა მფლობელობისადმი ზიზღას და შეულვარებას. მეორე მხრით, სპარსეთის ხელში ყოფნამ ქართველები თანდათან შეაჩვია სამონარქიო იდეას, შეაგნებია ის აზრი, რომ, თუ ერთსა სურს მოსვენებით და თავისუფლათ იარსებოს, საჭიროა შეერთება და ძლიერი ცენტრალური ხელმძღვანელი, მონარქი ანუ მეფე, როგორიც მაშინ მეზობელ ქვეყნებში — თვით სპარსეთსა და მაკელონიაში არსებობდა. მაგრამ, სანამ სპარსეთის მონარქია ცოცხალი და ძლიერი იყო, ქართველებს, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ, დამოუკიდებლობა მოვპოვებიათ და საკუთარი სამეფო შეექმნათ: სააძისოდ შესაფერა შემთხვევა იყო საჭირო. და, აი, სწორეთ ასეთი შემთხვევა დადგა მაშინ, როდესაც აღექსანდრე მაკელონელმა სპარსეთის სამეფო დაამხო (330 წელს ქრ. წინ) და წინა-აზიაში მრავალის ახალი სამეფოს აღმოცენებას ნიადაგი მოუმზადა. ამ დროით ისარგებლეს ქართველებმა და მცხეთის მხარეში, ე. ი. ქართლში, საქმიოთ ძლიერი სამეფო დაიარსეს. ქართლი წყაროების მოწმობით, ამ სამეფოს საზღვრებში მოქცეულა კოლხიდისა და აღმანის ზოგიერთი ნაწილიც.

ამ დიდებული საქმის განხორციელება წილად ჰევდა ქართლის მამასახლისის გვარეულობას, რომელსაც ბინა ეხლანდებო მცხეთის არემარეში ჰქონდა და სპარსთა ბატონიაბის დროს ერთ უძლიერეს გვარეულობად ითვლებოდა, რაღაც მის ხელში იყო ორის სალაშქრო და სააღებმიცემო გზის ჯვარედინზე გაშენებული ქალაქი მცხოთა. მცხეთაში თავს იყრიდა კა-



სპის ზღვიდან შავი ზღვისკენ და სკვით-სარმატიჭურა-სარმატიურა ლოეთიდან) არაგვის ხეობით სომხეთისკენ მიმავალი გზები, და, ვინც მცხეთას ჰფლობდა, იგი იმავე დროს თითქმის მთელის ამიერ-კავკასიის ფაქტური მბრძანებელიც ხდებოდა. ეს მფლობელი გახლდათ ქართლის მამასახლისის გვარეულობა, რომლიდანაც გამოვიდენ პირველი ქართველი მეფეები „შეტეთას შინა“: აზო და ფარნაგაზ I.

ამგვარათ ქართული სამეფო უფლება სამამასახლისო უფლებიდან გამოვიდა და, როგორც შემდეგ დავინახავთ, მას უკანაც დიდხანს ატარებდა ამავე ხასიათს.

2. აზო, ფარნაგაზ I და მათი უუახლოესი მემკვიდრე ებთ: ხაურმაგ I, მარვან I, ფარნაჯომ და არსოვ I. ეჭ ჩანთველილის მეფეების შესახებ საისტორიო წყაროები მეტათ მცირე სანდო ცნობას იძლევა. ქართული წყაროების თმულებანი ამ პირთა შესახებ უმეტეს შემთხვევაში ზღაპრული ხასიათისანი არიან. ამ თქმულებათა კრიტიკულ-შედარებითი შესწავლიდან ჯერჯერობით შემდეგ დასკვნათა გამოტანა შეიძლება:

აზო იყო პირველი მეფე მცხეთას შინა“. მან იმედა და-ახლოებით 330 წლიდან 272 წლამდე ქრ. წინ და ამ წის განმავლობაში მოასწრო მესხეთ-ქართლ-კახეთის შეერთება, კოლხიდისა და ალბანიის ზოგიერთი პროვინციებით. — ფარნაგაზ I-ელი მეფობდა აზოს შემდეგ, დაახლოვებით 272 წლიდა 206 წლამდე. მან დააარსა ქალაქი არმაზი, მცხეთის პირდაპირ, მტკვრის მარჯვენა მხარეზე, საღაც, სხვათა შორის, ააგო ტაძარი ირანული ღვთაების პატრიარქიზმის ანუ არმაზის სახელობაზე, საიდანაც წარმოდგა თვით ამ ახალი ქალაქი, სახელი. შემდეგ, ფარნაგაზმა მთელი თვისის სამეფო რამდენსამე სამხართველო ნაწილად გაპყო და თვითეულს ნაწილს უფრო-სად ერის-თავი დაუყენა. ერისთავების მოვალეობა იყო: ადგილობრივს გამგეობაზე თვალი სპეროდათ, მეფის ხაზინაში მცხოვრებთაგან ხარები ეგზავნათ და ომიანობის დროს მეფი-სათვის ჯარი მიეშველებით. დასასრულ, ფარნაგაზმა დიდი ყურადღება მიაქცია ქართულ „მწიგნობრობას“: ქართველების.

შეირ. წინა პერიოდში შეოვისებული ასო-მთავრული ანგარიში და მთავრული რომელიც ყველა ქართულ ხას ვერა ხატავდა, რამდენისამე. ახლო ასოთი შევსო და შეეცადა ქართულ ენაზე იმ დროის შესაფერი მწერლობა დაეარსებია. იმ ამის შესახებ ამბობს „ქართლის-ცხოვრება“: „ამანვე მეუემან შექმნა მწიგნობრობა ქართულიონ“.

საფრგვეგ I-ელი ფარნავაზის მემკვიდრე იყო (დაახლოებით 206—162 წ.). ამის მეოთხაში, 189 წლის მახლობლათ, ასურისტანის მეფის ანტიოქის დიდის ორმა სარდალმა — არტაქსიმ და ზარიალმა, რომელნიც ჩამომავლობით სომხები იყვენ, სომხეთს თავისულება მოუჰყვეს. მაგრამ, რაღაც იმ დროს სომხეთის ტერიტორია პატარა იყო, რამდენიმე პროვინცია მეზობელ სახელმწიფოებს ჩამოგლოვეს. სხვათა შორის, საქართველომ ამ დროს დაპარება ზოგიერთი აღვილები არა-ქსისა და კორონის ხეობაში.

საურმაგის შემდეგ მცხეთა-არმაზის ტახტი მირგან I-ელმა დაიჭირა (162—120 წ.). სომხის ისტორიკოსთა მოწმობით, ამ დროს ალბანიას ცალკე მართველი მიუღია სომხეთის მეფისაგან, სახელად „არანი, კაცი სახელმგანი, ცნობილი სიბრძნითა და გონებითა“; ხოლო საკუთრივ „იბერიის“ სამეფოს ჩამოშორებია ერთი პატარა პროვინცია „სომხითი“ (დებდასა და აქსტაფის შუა), რომელიც დიდი სომხეთის მეფის ხელში გადასულა. ამას გარდა, როგორც „ქართლის-ცხოვრება“ გადმოგვცემს, მირგანს შეხვედრია ბრძოლი კავკასიონის მთის ჩრდილოეთად მცხოვრებ ველურ ხალხებთან, რის შემდეგაც იგი შესდგომია დარიალის ხეობის გამგრებას, სადაც დიდი ჭიშკარი გაუკეთებია. ამ ჭიშკარს შემდეგს საუკუნეებში რომაელი მწერლებიც იხსენიებენ.

მირგანის შემდეგ მცხეთას ტახტზედ ფარნაჯულმა აკიდა, რომელმაც დაახლოებით 120—88 წლებს შორის იმედა. ამის დროს მცირე აზიაში, კოლხიდის მეზობლათ, გაძლიერდა პონტის სამეფო, რომლის მეფებმ, მიტრიდატ VI დიდმა (120—63 წ.), სასტიკი თინ აუტეხა რომიელებს და თავის ხელ ქვეშ მრავალი წვრილ-წვრილი სამთავრო შეიერთა. 88 წელს კოლხი-



დაც მიტრიდატის ხელში გადაეიდა. თვით კოტექტურულების თხოვნით, 84 წელს მან აქ მეფედ დანიშნა ოლტარული მართვა

კოლხიდის დაკარგვის შემდეგ ფარნაჯობს დიდხანს აღარ უკოცხლია. 88 წელს „იბერიის“ ტახტზე უკვე არსოკ I-ელი იქნადა. არსოკი საქართველოს საზღვრები გაამაგრა და არმაზის ტაძარის მეორე ზღვდე შემთავლო. ამის მეფობაში რომის მთავარ-სარდლებმა სულლამ და ლუკულლმა რამდენჯერმე დაამარცხეს მიტრიდატი (84 წ., 74 წ. და 72 წ.) და მისი მოკვეშირე სიძე, სომხეთის მეფე, ტიგრანი (64 წ.). მაგრამ მიტრიდატი მაინც არა სცხრებოდა. მან კვლავ იწყო სომხრად მზარება და რომაელების წინააღმდეგ მეზობელ მეფეთაგან მოელი კავშირი შეადგინა. ამ კავშირში უნდა შესულიყვან მეჭვები სომხეთისა, კოლხიდისა, იბერიისა და ალბანიისა. მაგრამ ამასობაში მცხეთა-არმაზის მეფე არსოკი გარდაიცვალა (66 წ.) და, მის ნაცვლათ, კავშირში მონაწილეობის მიღება მცხოვრილი მეფეს, არტაგს, მოუხდა.

3. მეფეები: არტაგი, ოროდი და ოლთაკი, და პომპეი საქართველოში. მიტრიდატის მზადებამ უქმათ არ ჩაიარა: პონტის არწივმა რომაელთა წინააღმდეგ სულ მცირე ხნის განმავლობაში საკმაოთ ძლიერი კავშირი შეადგინა. ამ კავშირს კუუთვნოდენ: თვითონ პონტის მეფე მიტრიდატი, მისი სიძე სომხეთის მეფე ტიგრანი, კოლხიდის მეფე ოლთაკი, ალბანიის მეფე ოროდი და იბერიის მეფე არტაგი. სამი უკანასკნელი, როგორც ვიცით, საქართველოს სხვა და სხვა ნაწილის მეფეები იყვენ. სხვანარათ რომ ვთქვათ, 66 წლის მახლობლით ქრისტინამ გართველ ტომთა მიწა-წყალზე სამი სამეფო არსებობდა. კოლხიდა, იბერია და ალბანია.

რომის სენატმა აღმოსავლეთის ჯართა მთავარ-სარდლად პლატეი დანიშნა, რომელმაც თავისი მოვალეობა საუცხოოთ შეასრულა. პირველათ იგი საიდუმლო ზავით შეეკრა პართიის მეფეს და, რაკი ამ მხრით ზურგი გაიმაგრა, 66 წლის გაზაფხულს სამოციადისი მხედრით პონტის საზღვრებში შემოვიდა. პიტრიდატი სასტიკათ დამარცხდა და სამი მხლებლით-ლა მოასწრო კოლხიდისკენ გაქცევა. იმას შემდეგ პომპეი სომხე-

თოს შეფის ტუგრანისკენ გაემართა. ტუგრანი მოწინებით გამოიყენებოდა ცხადდა რომის მთავარ-საჩდალოთან, ფეხვეუზ ჩაუგარდა, ციხე-დაცილისა და მორჩილების ნიშნად ვეირვენიც კი გადასცა და 8 პილიონ მანეთომდე ხარჯის გადახდა იტვირთა, ამასთანავე უარი სთქვა იმ ქვეყნებზე, რომელიც ამას წინათ დაემორჩილებია, სახელდობრ: ფინიკისა, სირიისა, კაპადოკიისა და ქუთისტისგანზე. ამგვარათ პომპეის ერთმა გამოლაშერებამ პონტის სამშეფრულო დამხმა და სომხეთი ისევ თავის კალაპოტში ჩააყენა.

რომის ლაშქარმა საზამთროთ (ნე წ.) იბერიისა, სომხეთისა და აღმანის საზღვრის მახლობლათ დაიბანავა, რომ მომავალ გაზაფხულს მიტრიდატის სხვა მოკავშირენიც დაემორჩილებია. მაგრამ არც ამ მოკავშირეებს ეძინათ. როცა აღმანის შეფერ თროდმა პომპეის ჯარის დაბანაკება შეიტყო, მსწრაფლ 40,000 ლაშქარი შექცარა და მტერს მოულოდნელათ თავს დაესხა. მაგრამ პომპეი არ დაიბნა: მთელი ლაშქარი მსწრაფლ ფეხზე დაიყენა, თროდს ჯარი დაუმარცხა და აიძულა ზავი ეთხოვა, თანაც პოსტხოვა, რომს კავშირით შეკროდა.

65 წელს, გაზაფხულზე, პომპეის ძლევამოსილი ლაშქარი იბერიის დედა-ქალაქისკენ გამოემართა. იბერიის შეფერს არტაგს მტკიცეთ გადაწყვეტილი ჰქონდა, მიტრიდატისათვის არ ელალატნა; ამიტომ, როცა პომპეი არმაზ-ქალაქს მოუახლოვდა, არტაგმა მას თავი არ მოუხარი, მაგრამ, რაღვენ ამასთანავე საქმით მომზადებული არ იყო და ომის იმედი არა ჰქონდა, სატახტო ქალაქი გასწირა, მტერს მოუტოვა, მთელის ლაშქრით მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადავიდა, ხიდი დასწვა და არავის ხეობას მიმართა. მაგრამ, როცა პომპეი წამოეწია, მეფემ ჯარი შეიჩერა და, როგორც რომაელი ისტორიკოსები გადმოგვცემენ, პომპეის „დიდი ბრძოლა“ აუტეხა. ამ ბრძოლაში 9,000 ქართველი დაიხოცა და 10,000-ხე მეტი მტერს ტყვედ ჩაუგარდა. ამას შემდეგ კი არტაგი იძულებული შეიტნა ზავი ეთხოვა და ერთგულობის ნიშნად პომპეის მეცნიერები და ძვირფასი ძლვენი მიაჩინვა, სახელდობრ: ხალასი ოქროთი შეკედილი ტახტი და მავიდა.



იბერიიდან პომპეი მტკვრისა და ძირულა-ყვირჩლის ხელმი  
ბით კოლხიდაში გადავიდა, სადაც მიტრიდატი ეგეულებულია.  
მავრამ მიტრიდატმა შავი-ზღვის ჩრდილოეთი მდებარე ბოს-  
ფორის სამეფოს მიმართა. კოლხიდაში ყოფნის დროს პომპეიმ,  
ოლთაკის ნაცვლათ, მეფედ არისტარჩი დააყენა. ამ მეფისა-  
ვან ჩვენს დრომდე ფულმაც კი მოაღწია ბერძნულის წარწე-  
რით: „კოლხიდის მეფის არისტარჩისა“<sup>4</sup>. კოლხიდაში პომპეის  
ამბავი მოუვიდა — ალბანელებმა რომთან კავშირზე უარი განა-  
ტადეს და აჯანყდენო, და იგიც იძულებული გახდა, უკანვე  
გამობრუნებულიყო. დიდის გაჭირვებით გაიყანა მტკვარში  
ქვეითი ჯარი და ზაფხულის პაპანებაში შირაქის ველს შეუდ-  
გა. რადგან ეს ველი უწყლოა, წინამძღოლის რჩევით, პომპე-  
იმ 10,000 ტკი წყალი ისაგზლა და ამგვარათ შემზადებული  
მტერს დაედევნა. მაგრამ მტერი არსად სჩანდა. მარტო ალაზ-  
ნის მარცხენა ნაპირას შეხვდა ალბანიის დიდაღლი ლაშქარი  
(60,000 ქვეითი და 12,000 ცხენოსანი), ოროდის ძმის კოზი-  
სის წინამძღოლობით. როცა ხელჩართული ომი დაიწყო, პომპეიმ  
კოზისი საკუთარი ხელით განგმირა, რის შემდეგაც ალბანე-  
ლები ტყეში გაიფანტენ. პომპეიმ ტყეს ცეცხლი წაუკიდა და  
ირგვლივ ჯარი შემოარტყა. მაშინ ალბანელები დამორჩილ-  
დენ და პომპეისთან ხელშეკრულობა მოახდინეს.

ალბანიდან პომპეი კასპის ზღვისკენ გაემგზავრა, მავრამ,  
ეზლანდელ მულანს რომ მიუახლოვდა, აუარებელმა შბაშიანშა  
გველმა აიძულა უკან გამობრუნებულიყო. ამას შემდეგ მან  
მცირე-სომხეთისაკენ გასწია, საიდანაც რომში დიდი ტრი-  
უმფით დაბრუნდა. ტრიუმფის წინ დიდი ფიტრები მიქვინდათ,  
რომლებზედაც წარწერილი იყო პომპეისგან დამარცხებულ მხა-  
რეთა და მეფეთა სახელები: პომპისა, სომხეთისა, ალბანიისა,  
იბერიისა, კოლხიდისა და სხვათა. აქვე მიჰყავდათ, სხვათა შო-  
რის, სომხის მეფის-წული მეუღლითურთ და ალბანიისა და  
იბერიის მძევლები.

ასე დათვდა პომპეის ბრძოლა კავკასიაში და მასთან ერ-  
თათ (64 წ.) არტაგის მეფობაც დასრულდა. ამას შემდეგ დი-  
დხანს ალარც მიტრიდატს უცხოვრია. 63 წელს, სამოცდარვა

შეს მოხუცმა თავი მოიწამლა, ხოლო, როცა საწამლა და დროინათ ვერ იმოქმედა, ერთ თავის ჯარისკაცთაგანს ფაქტურობითაც მოაკვლევინა.

პომპეის ლაშქრობის შემდეგ მთელი კავკასია და კერძოთ საქართველო დიღის ხნით რომის კულტურულ გავლენას და-ეძორჩილია. ამავე დროიდან რომაელებიც თანდათან გაეცვნენ ჩვენს ქვეყანას და ჩვენი ხალხის შესახებ ფრიად ძვირფასი სა-ისტორიო ცნობები დაგვიტოვეს.

4. მეფეები: ფარნაგაზ II, მარნაგ II, და ახსოებ II. არ-ტაგის შემდეგ არმაზის ტახტი ბრატმანმა დაიკირა, რომელსაც უცხოეთის მწერლები ფარნაგაზს ეძახიან. ეს არის ფარნაგაზ მე-II, რომელიც დაახლოებით 64—32 წლებში მეფობდა. ამის დროს მიტრიდატის შვილი ფარნაგი შეეცადა თავისი მა-მის სამფლობელო იღედგინა: 48 წელს პომპეისა და ცეზარს შორის ატენილი მტრობით ისარგებლა და, სხვათა შორის, კოლხიდა და სომხეთიც იდვილათ დაიმორჩილა. მაგრამ, რო-ცა ცეზარმა პომპეიზე გაიმარჯვა, მაშვინვე ფარნაგის წინააღ-ზდეგ გამოილაშერა, ფარნაგი შეხვედრისთანავე დაამარცა და პომპეის დაპყრობილი ქვეყნები ისევ რომის სახელმ-წიფოს დაუბრუნა. მართალია, 36 წელს ქრ. წინ, იბერიილე-ბი რომის წინააღმდეგ აჯანყდნ და მისი მეგობრობა უარპყვეს, მაგრამ რომის სარდალმა პუბლიოს კანიდი კრასსმა იგინი და-ამშვიდა და ფარნაგაზ მე-II აიძულა, კვლავ რომაელთა მეგო-ბრობა ეკისრნა.

ფარნაგაზის მეორე მოადგილის ახსოებ მე-II-ის (22—1 წ. ქრ. წინ) დროს, სახელდობრ 15 წელს ქრ. წინ, იბერიაში კიდევ მოხდა აჯანყება, მაგრამ რომაელებმა ეს აჯანყებაც მა-ლე ჩააქრეს, და ქართველებმა ისევ რომის მეგობრობა აირ-ჩიეს.

ამგვარათ, I-ელ საუკუნეში ქრ. წინ რომაელებმაც მტკი-ცეთ ფეხი ჩასდეს საქართველოს ორსავე ნაწილში: კოლხიდასა და იბერიაში, თუმცა საჭიროა შევნიშნოთ, რომ რომის უფ-ლება ამ ორ მხარეში ერთი და იგივე აზ იყო: კოლხიდაში ეს უფლება სრულს ბატონობამდე აღწევდა, იქ რომაელები მე-

ფეხბაც კი ნიშნავდენ, ხოლო იბერიასთან, როგორ უწევდეს თავში დავინახავთ, მათ მხოლოდ „სამეცნიერო კურსის“ უკვე რთებდათ.

**კითხები შასახორებლად.** რამ შეუწყო ხელი მცენოს მარტო სამეცნის დარსებას? ვინ იყო პირველი მეცნ „მცენოს შენა“? ჩამოთვალეთ ფარნავაზ I-ელის ნამოლვაწევი. დაასახელეთ უძაფრესი ფაქტები საურმაგ I-ელისა და მირვაზ I-ელის ცხოვრებიდან. აღწერეთ პონტის მეცნის მიტრილატ დიდის მოქმედება ფარნავამისა და არსოვ I-ელის მეცნობაში. აღნუსხეთ მოკლეთ პომპეის ლაშექის მოძრაობა მეტრი აზიას და ამიტო-კავკასიაში. რა შედეგი მოჰყვა პომპეის ლაშექის საქართველოს ცხოვრებაში? აღნაზნეთ უმთავრესი ამბები საქართველოს ცხოვრებიდან 64—1 წლებს შორის ქრ. წინ.

### III

## საქართველოს ყხოვრება და თავგადასავალი 1—3 საუკუნეები ქრ. წ. შემდეგ.

**1. მეცნები:** ადერკი, მიპრდატ I-ელი და ფარს შან I-ელი. როცა არმაზის მეფე არსოვ შე-II გარდაიცვილა, სამეცნო ჭახტე ადერკი ავიდა, რომლის ცხოვრებაც იმითაა შესანიშნავი, რომ მისი მეფობის პირველსავე წელს „იშვა უფალი ჩვენი იქსო ქრისტე ბეთლემს ურიასტანისას“. ადერკიმ იმეფა 1—30 წელს ქრ. შემდეგ. ქართული წყაროები ამ მეცნეს მიაწერს სიკვდილის წინ საქართველოს ორ სამეცნოდ გაყოფას, მაგრამ, როგორც თანამედროვე რომაელი ისტორიკოსები მიწმობენ, სრულიად საქართველო იმ დროს უკვე კაი ხნიდან სამ სამეცნოდ იყო განაწილებული: კოლხიდად, იბერიად და ალბანიად. რაც შეეხება საკუთრივ „იბერიას“, იქ არც ადერკის დროს და არც შემდეგ ამ პერიოდში არავითარი „ორ-მეფობა“ არ ყოფილა.

შე-30 წელს ქრ. შემდეგ იბერიის ტახტი დაიკირა ადერკის შვილმა „ქართამმა“, რომელსაც უცხოეთის მწერლები „მიტრიდატს“ ანუ მიპრდატს უწოდებენ. ეს არის მიპრდატ I-ელი, რომელმაც სულ ხუთიოდე წელს იმეფა (30—35 წ. ქრ. შემდეგ). ამ მეცნის დროს იბერიის ცხოვრება



მიიღება ხელის მოწვევა 1910 წლისათვის.

ფრინველი  
გიგანტის მიერ

# სახალხო გაზეთი

1910 წელს გაზეთი გამოდა იმავე პროგრამით როგორითაც მდგრადშე წელს გამოდიათ. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება შინაარსით.

კოგელ დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელს გაზეთის ექნება

## სურათებიანი დამატება.

უამატება გამოვა კვირაში ერთხელ — კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანათ: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ლირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით -- 5 მან.

10 კაპ., ერთი თვით — 1 მან.

ცალკე ნომერი ევენიან ერთი ჰაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ხელისმოწერა ჭერ-ჭერდით მიიღება მხთლოდ ტფილისში:

„სახალხო გაზეთი“ კანტორაში — დიდი ვანქის ქუჩა № 12; წერა-კიონცეს საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. აკადემიულთან — სასახლის ქუჩა, თავადაზნ. ქარეასლა; ნაძალად ვაში მეცნიერებრივებისთვის — მაგისტრალი ქუჩაზე, გრიბოედ ჩარკიანის სახლში; რეინის გზის მთავარ სახელოსნოში ვანო ჭავჭავაძესთვის — ტოკანი ცენტო.

## ხელის მომზადება საზოგადოებოდ

კანტორა უმორჩილესად სთხოვს აზალ ხელის მომწერთ, თუ ვინიციბაა ვერ მოახერხებენ ფულის კანტორაში შეტანას, დამტარებლებს გადასცენ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელნა კვიტანციას წარუდგენენ.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 8-დან 3 სა- თამაზე. საღამოთი 5-დან 8 საათმაზე.

ადრესი: თიფლის, რედაქცია „Сахалх газети“ Семену  
Пашалиშვილი

# ХЕХОЛЮ

## საქმ-წერილო ნახატების ჟურნალი ოცდა პირველი ტელიცალი.

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლ.  
გამოვა თვეში ერთხელ. უურნალში ორი განცოცილება  
პატარებისთვის და მოზრდილთათვის.

უურნალი „ჯეჯილი“  
თბილისში ელირება + მ. ქალაქ გარეთ (ვაგზავნით) 5.  
ნახევარი წლით 3 გ.

ფას ნომერი - 0 კ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ:  
ძუთაისში წიგნის მაღაზიას „იმპრეს“ და ბათუმში მ. გალანდაძეს.

ფო ტის აფრები: Въ тифлисъ въ Ред. Грузинского дѣтскаго  
журнала „Джеджили“

რედ.—გამომუშებელი ა. თუმანიშვილი წარეთლისა.

Продолжается подписка на 1910 годъ на газету

## „ЗАКАВКАЗЬЕ“

(ТОДЬ ВТОРОЙ)

### ПОДПИСНАЯ ЦЕНА:

Съ доставкой въ Тифлисъ:	Съ пересылкой въ другіе города:
за годъ . . . . . 6 р. — к.	за годъ . . . . . 8 р. — к.
за полгода . . . . . 3 р. 50к.	за полгода . . . . . 4 р. 50 к.

Помѣсячно повсюду 75 коп. Отдельныѣ №—5 коп. Загравицу вдвое. За перемѣну адреса городскаго на иногородній—1 р.,  
съ иногороднаго на иногородній—50 коп.

Адресъ редакціи: Тифлисъ, Эриванская плошадь, д Гургенова,  
общій входъ съ конторой нотаріуса Мгеброва. Редакція открыта  
отъ 9-ти до 4-хъ час. двя и отъ 7-ми до 8-ми час. вечером.  
Лично редакторъ принимаетъ отъ 12—1 час. дня.

Редакторъ-Издатель Г. И. Амираджиби.